სახელმწ. ცაო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: თვეობისას. 75 კ., განცხადებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

შაბათი, 10 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 8 (1163)

დღიური

— რეიხსტაგის თავმჯდომარეთ აირჩიეს მენშევიკი ლებე.

— სამხრეთ-სლავიაში გრძელდება ოპოზიციონერ ელემენტების დატუსაღება.

— საფრანგეთიდან კიდევ გადაასახლეს 50 კომუნისტი.

— მუსოლინის მთავრობამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დაატუსაღა ათასამდე ოპოზიციონერი.

— გამწვავდა კონფლიქტი პოლონეთსა და დანციგს შორის.

იბეჭდება და კვირის ნომერთან ერთად

გაზეთ „კომუნისტის"

ყველა ხელისმოწერლებს უფასოდ დაურიგდება

ჩირაღდანი № 1 (24)

შინაარსი: რომელია ჯაშუში?—მოთხრობა ი. ბლეკსტონის; ა—კიმას ცრემლები—მოთხრობა ჯ. ლონდონის; მანქანებიდან რევოლიუციამდე—ლექსი ე. პოლუმორდვინოვის; გამოქცეული—ამბავი სამოქალაქო ომიდან ს. ერ—ლის; მჭედელს—ლექსი შაქრო ნავთლუღელის; რევოლიუცია—ლექსი ს. მგელაძის; დღეობა—მოთხრობა გიგუცახი; მოგონება დედაზე—ლექსი ნა—ძ.ს; ჩვენი კინო-მრეწველობა—შ. მ., კინო; თეატრი; მეცნიერება და ტექნიკა; ბიბლიოგრაფია—ი. ფუკრიანის; ხელოვნების ქრონიკა.

ახალი შეტევის დამარცხება

ბრიუსელის კონფერენციის დაბოლოვების გამო

უკვე დასრულდა ბრიუსელში მიმდინარე მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ბრიუსელის თათბირის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების და კერძოდ საქართველოს საკითხი.

ყველამ ვიცით, თუ როგორ ეკიდებოდა იმ თავიდანვე მეორე ინტერნაციონალი საბჭოთა წყობილებას. იგი არაფერს ზოგავდა, რომ გაეშავებინა საბჭოთა რეჟიმი, მუშურ-გლეხური მთავრობა ევროპის მშრომელ მასსების თვალში და ამ მიზნით ათასნაირ სისულელეს და სიყალბეს ავრცელებდა ჩვენში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

მეორე ინტერნაციონალი ამ საქმეში ბურჟუაზიის ერთგული დამხმარე იყო.

კერძოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ყვითელი ინტერნაციონალის პარტიებში. ეს ფაქტი მათ გამოიყენეს საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეის და კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

აქედან გაქცეული ქართველი მენშევიკები მოედვნენ ევროპას და ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახოდნენ ბოლშევიკების მიერ „დამონებულ" და „განადგურებულ" საქართველოზე. მეორე ინტერნაციონალს და მის პარტიებს გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები „იმპერიალისტ" ბოლშევიკების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ საქართველოს „განთავისუფლებას". ამას სჩადიოდნენ ისინი რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მართლა გული შესტკიოდათ ჩვენს ხალხზე, არც იმიტომ, რომ სჯეროდათ მენშევიკების ტყუილები, არამედ ასეთი გამოქომაგება „დაჩაგრულ" ერის მიმართ და „დამჩაგვრელის" გაკიცხვა საჭირო იყო მათ მიერ პარტიული კაპიტალის შესაძენად და ოქტომბრის რევოლიუციისათვის ჩრდილის მისაყენებლად. ჩვენი ქვეყნით ისინი მხოლოდ უსინიდისო სპეკულიაციას ეწეოდნენ.

შარშან აგვისტოში მომხდარმა მენშევიკურმა ავანტიურამ ხომ „ყალყზე დააყენა" როგორც ბურჟუაზია, ისე სოციალ-შეთანხმებელთა ბანაკიც. ცილისა და ცილისწამებათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მენშევიკების „აჯანყებასთან" დაკავშირებით, საზღვარი არა ჰქონდა. მეორე ინტერნაციონალის პარტიებს ამ ფაქტმა „მასალა" მისცა „გულის მოსაფხანად" ჩვენს წინააღმდეგ.

საქართველოს საკითხმა ბრიუსელის თათბირზე წამოყო თავი. წერეთელი და დანი ვანდერველდეს და სხვების დახმარებით შეეცადენ, რომ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესიას მიეღო ანტისაბჭოთა რეზოლიუცია საქართველოს შესახებ.

მაგრამ დახეთ ჩვენი ხალხის ამ „არამკითხე ჭირისუფალთა" უბედობას! სესიამ არ მიიღო არავითარი რეზოლიუცია საქართველოს შესახებ.

საქმე ის არის, რომ ევროპის მშრომელი მასსები თანდათან ერკვევიან ჩვენში არსებულ მდგომარეობაში. მენშევიკების მიერ შეთითხნილი ჭორების ხუხულა ინგრევა და ჭეშმარიტება ჩვენს შესახებ უკვე იჭრება ევროპაში.

განსაკუთრებით ტრედ-იუნიონების დელეგაციამ ითამაშა ამ საქმეში გადამწყვეტი როლი. პერსელის დელეგაცია ინგლისში დაბრუნების შემდეგ განაგრძობს ბრძოლას სიმართლის გასავრცელებლად, რომელსაც იგი უშუალოდ გაეცნო ჩვენში.

ამ გარემოებამ თავისი გავლენა მოახდინა ბრიუსელის თათბირზედაც, რომელმაც თავი შეიკავა რაიმე რეზოლიუციის გამოტანისაგან საქართველოს შესახებ. პერსელმა გაიმარჯვა. წერეთელი და დანი სასტიკად დამარცხდნენ. „თავისიანებმაც" ზურგი შეაქციეს ამ საბოლოოდ გაკოტრებულ „ბედის მაძიებელთ".

ამით ჩვენ არ ვამბობთ, რომ მეორე ინტერნაციონალმა იარაღი დაყარა, და ის შემდეგში არ განაგრძობს ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. სრულებითაც არა. მას, მის მემარჯვენე ჯგუფებს სხვა საქმე არაფერი გააჩნიათ.

მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ყვითელ ინტერნაციონალში უკვე არ არის ერთიანი ფრონტი საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში. კერძოდ ინგლისის მუშათა პარტიის, ისე როგორც ტრედ-იუნიონების, პოზიცია უეჭველია პერსელის დელეგაციის გავლენით, საკმაოდ კეთილ განწყობილია საბჭოთა რესპუბლიკებისადმი. სწორედ ამით აიხსნება ბრიუსელის თათბირის ნაბიჯიც.

ქართველ მენშევიკებს, ისე როგორც დანარჩენ კონტრ-რევოლიუციონერებს, ერთხელ კიდევ (რამდენჯერ?) ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ ისინი მათმა ხალხმაც „არ დაინდო".

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის შესახებ სოფლად

მომავალმა საარჩევნო კამპანიამ პრაქტიკულათ უნდა განახორციელოს ის ხაზი, რომელიც აღებული აქვს ჩვენს პარტიას ძირითადი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოების არჩევნები უნდა გატარდეს ისე, რომ გამოვამჟღავნოთ და შევისწავლოთ გლეხობის სულისკვეთება, მოვიწვიოთ მთელი მშრომელი მოსახლეობა არჩევნებში აქტიურად მონაწილეობის მისაღებად, ფართოთ ჩავაბათ უპარტიო გლეხები საბჭოებში, საუკეთესოდ შევარჩიოთ მუშაკები, ორგანიზაციულად გავაუმჯობესოთ, გავაცხოველოთ და განვამტკიცოთ ძირითადი საბჭოთა აპარატის მუშაობა.

კარგათ მოწყობილი საარჩევნო კამპანია საუკეთესო საშუალება იქნება დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ გლეხები, კაცი და ქალი საარჩევნო კრებებზე უკვე მომზადებულნი მიდიოდენ, რომ მათ ნათლად ჰქონდეთ წარმოდგენილი საბჭოთა დეპუტატების არჩევნების მთელი მნიშვნელობა. ამ მიზნით, ვიდრე საარჩევნო კრებები მოხდებოდეს, საჭიროა ჩავატაროთ გლეხების ფართე კრებები, რომლებზედაც უნდა დავსვათ და განვიხილოთ საბჭოების და აღმასკომების მიერ შესრულებული მუშაობა, დეპუტატების დავალება, ავხსნათ და განვმარტოთ ჩვენი კონსტიტუციის საფუძვლები, მუშათა და გლეხების კავშირის შინაარსი და ამ კავშირის პრაქტიკული მნიშვნელობა გლეხობისათვის და სხვა.

გლეხ-ქალების მონაწილეობა არჩევნებში აქამდის მეტად უმნიშვნელოა. სათანადო ორგანიზაციებს მართებთ ჩაატარონ ფართე კამპანია გლეხ-ქალთა შორის იმ მიზნით, რომ მოვიწვიოთ ისინი—აქტიურად განახორციელონ პოლიტიკური უფლებ, რომელიც მათ ჩვენი კანონით ენიჭებათ.

ამის წინად რ. ს. ფ. ს. რ.-ში მომხდარი საბჭოს არჩევნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის კულაკები დიდ აქტივობას იჩენდნენ, აშკარად თუ ნიღაბ ქვეშ სცდილობდნენ გასულიყვნენ საარჩევნო კრებაზე და შემდეგ კი თავიანთი ხალხი საბჭოებში გაეყვანათ. აგვისტოში საქართველოში მომხდარმა ამბავმა გვაჩვენა, რომ კულაკი და ყოფილი თავადაზნაურობა აქაც არ არიან მოკლებული აქტივობას.

სოფლის კულაკის, მედუქნის, მღვდლის, ქონებაჩამორთმეულ თავადაზნაურის და მათი წინამძღოლის—მენშევიკის აქტივობას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ საშუალო და ღატაკი გლეხის აქტივობა.

იმისათვის, რომ ერთის მხრივ არ დაუშვათ არჩევნებზე ისეთი პირები, რომელთაც საარჩევნო უფლება არა აქვთ, მეორე მხრივ კი, რომ რომელიმე თანამდებობის პირის უვიცობისა თუ ქვენა სურვილისა გამო არ წაერთვას საარჩევნო უფლება მოქალაქეთ, რომელთაც ეს კანონით ენიჭებათ,—საჭიროა მეტად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სისწორით დავიცვათ კონსტიტუცია, რომელიც ეხება საარჩევნო სიებიდან არამშრომელ ელემენტების განდევნის საკითხს; წინასწარ (სანამ თვით არჩევნები მოხდებოდეს) ზედმიწევნით შედგენილი და გადასინჯული უნდა იქნეს შავი სიები (სია კონსტიტუციის ძალით საარჩევნო უფლებააყრილ პირთა).

მთელი მშრომელი მოსახლეობის მეტად ფართე და აქტიური ჩაბმა საარჩევნო კრებებში და მკაცრი წინააღმდეგობა იმ ანტისაბჭო ელემენტების მიმართ, რომელნიც ხელისუფლებისაკენ მიიწევენ,—აი საარჩევნო კამპანიის ძირითადი ამოცანები.

შ. მათიკაშვილი.

ამერიკის კაპიტალის დიქტატურა ევროპაში

ამერიკა ევროპისაგან მოითხოვს ვალების გადახდას

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კლემენტელმა განაცხადა, რომ გერმანიას სისტემატიურად ვახდევინებთ ვალებსო.—საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის წარმომადგენელთან ვალების გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ.—მოკავშირეთა ფინანსთა მინისტრების თათბირზე მთელი ყურადღება მიპყრობილია ამერიკისაკენ.—თათბირის ცენტრი ვალების გადახდის საკითხია.

საფინანსო თათბირის გახსნა

ლონდონი, 8 იანვარი. ოთხშაბათს შესდგა ფინანსთა მინისტრების კონფერენციის პირველი სხდომა. ეს სხდომა, რომელიც უმთავრესად იმუშავებდა რეგლამენტს, დიდხანს არ გაგრძელებულა. კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კლემენტელი.

ამერიკა ვალებს თხოულობს

პარიზი. 8 იანვარი. ინგლისის ფინანსთა მინისტრ ჩერჩილმა ითათბირა ამერიკის „ზედამხედველთან" კონფერენციაზე.

7 იან. დილით კლემენტელმა ჩერჩილს მისცა განმარტება საფრან. საერთო ბალანსის შესახებ და მას აცნობა ამერიკის წინადადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა უნდა გადაიხადოს ომის დროს აღებული ვალები.

ოფიციალურად უარყოფენ ცნობას, რომ ახლო მომავალში ბრიუსელში შესდგება მოკავშირეთა კონფერენცია ომის დროს აღებულ ვალების საკითხის მოსაწესრიგებლად.

„საერთო ენას" ეძებენ

კლემენტელის სიტყვა

პარიზი. 8 იანვარი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, მოკავშირეთა საფინანსო კონფერენციის გახსნისას საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა იმედი, რომ დელეგატები გამონახავენ საშუალებას ერთსულოვნად გადასჭრან მათ წინაშე მდგომი ამოცანები და დაასრულონ ლონდონის კონფერენციის საქმე.



მ. კლემენტელ
მოკავშირეთა ფინანსთა მინისტრების თათბირის თავმჯდომარე—საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი

თავის სიტყვაში კლემენტელმა აღიარა, რომ გერმანიამ თითქმის შეასრულა დოუესის გეგმით დაკისრებული ვალდებულებანი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ბელგიის ფინანსთა მინისტრმა ტეუნისმა მხარი დაუჭირა კლემენტელის განცხადებას.

ამერიკის ელჩმა საფრანგეთში მერრიკმა თათბირის ყურადღება მიაქცია მის წინაშე მდგომ საკითხებს და გამოსთქვა რწმენა, რომ კონფერენციას დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვება და იგი ხელს შეუწყობს ევროპის აღდგენას.

იტალიის მინისტრმა სტეფანიმ და იაპონიის ელჩმა საფრანგეთში ბარონმა იშიმ მხარი დაუჭირეს დანარჩენ დელეგაციების მეთაურთა განცხადებას.

ვალების გადახდის საკითხი

წინასწარი თათბირი.

პარიზი. 8 იანვარი. მოკავშირეების ფინანსიური კონფერენციის პლენარულ სხდომის გახსნამდე შესდგა თათბირი საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იტალიის, ბელგიის და იაპონიის ფინანსთა მინისტრების მონაწილეობით.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე შემუშავებული იქნა მუშაობის პროგრამა. კონფერენციამ დაადგინა არ იქნეს მოწვეული პლენუმი ოფიციალური მოლაპარაკების დამთავრებამდე.

„მეგობრული სალამი".

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იმედი აქვთ, რომ კონფერენცია უკონფლიქტოდ დამთავრდება მიუხედავათ იმისა, რომ **შეიძლება კამათს ხანგრძლივი ხასიათი ექნეს.** საფრანგეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კამათის გახსნამდე ჩერჩილი და კლემენტელი მეგობრულად მიესალმენ ერთმანეთს.

ამერიკის პოზიცია.

თუმცა კონფერენციის დღის წესრიგში მოკავშირეების ვალების საკითხი არ არის დასმული, მაგრამ ის მაინც ძირითად საკითხს წარმოადგენს. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი აღნიშნავს, რომ მოკავშირეები დაჟინებით მოითხოვენ საფრანგეთისაგან ვალების გადახდას. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკა მოითხოვს ვალების სავსებით გადახდას.

„ერთად-ერთი იმედი".

ერთად-ერთი იმედი, რომელიც დარჩენია საფრანგეთს, ეს არის ის, რომ შეიძლება ინგლისმა გაიღოს რაიმე მსხვერპლი სარეპარაციო საკითხში. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ ამერიკამ ადროვოს საფრანგეთს ვალების გადახდა თუნდაც 30 წლით, 12 წლის მაგიერ.

ყველა ამ საკითხების გარშემო გაცხოველებით სწარმოებს ნახევრად ოფიციალური მოლაპარაკება. როგორც სჩანს, საფრანგეთმა გადასწყვიტა ენერგიულად დაიცვას თავისი ინტერესები და უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს იძულებითი ზომებსაც, რასაც მოწმობს „ინფორმასიონ"-ის შენიშვნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთი თეორეტიულად უფლებას იტოვებს ხელში ჩაიგდოს ახალი საწინდარი დოუესის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ამერიკის პოზიცია

წინასწარი პირობები.

ნიუ-იორკი. 8 იანვ. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკის მთავრობა ოფიციალურად ეწინააღმდეგება კონფერენციას მოკავშირეთა ვალების საკითხის შესახებ, ამერიკის ფინანსიური წრეები შესაძლებლად სთვლიან, რომ ამერიკა მიიღებს მონაწილეობას ასეთ კონფერენციაზე იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის მონაწილეების რიცხვი განსაზღვრული იქნება სამი ქვეყნით—ინგლისით, ამერიკით და საფრანგეთით.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

დუარნენეს მუშათა გამარჯვება.

პარიზი. 8 იანვარი. გარდა მემარცხენე ორგანოებისა, რომლებიც იმეორებდენ მოთხოვნილებას დუარნენში მომხდარ სისხლისმღვრელ ამბების გამომწვევთა დასჯის შესახებ, სხვა გაზეთები კმაყოფილდებიან ცნობით გაფიცულთა სამუშაოზე დაბრუნების შესახებ.

„იუმანიტე" ესალმება მუშების გამარჯვებას, რომელთაც აიძულეს მწარმოებლები ხელი მოეწერათ დუარნენის კომუნისტურ მუნიციპალიტეტთან დადებულ ხელშეკრულებაზე. გაზეთი სწერს: „მწარმოებლები უკანასკნელ მომენტამდე სცდილობდენ წინააღმდეგობა გაეწიათ და ამხედრებდენ მეზღვაურებს გაფიცულ მუშების წინააღმდეგ. მაგრამ მათ ქედი უნდა მოეხარათ დუარნენის ყველა მშრომელთა სოლიდარობის წინაშე.

პარიზი. 8 იანვ. პარიზში, დუარნენში მომხდარ ამბების გამო, გამართულ ორ საპროტესტო მიტინგს დაესწრენ აუარებელი მუშები, რომელნიც აღფრთოვანებით ესალმებოდენ კაშენს, სემარს და დორიოს. ცნობამ დუარნენში მუშათა გამარჯვების შესახებ მიტინგზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ებერტი მარქს ვერ შეურიგდება.

ბერლინი. 9 იანვ. გერმანიის საიმპერიო მთავრობის შედგენის საკითხი ჯერ ისევ გამოურკვეველია. პარლამენტარულ წრეებში კანცლერ მარქსის ცდა, რომ შეედგინა ზეპარტიული კაბინეტი უკვე ჩაშლილათ მიაჩნიათ. ოთხშაბათს კანცლერმა მოხსენება გაუკეთა პრეზიდენტს იმ შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია გერმანულ სახალხო პარტიის გადაწყვეტილებით, რომ არ მიიღოს მონაწილეობა კაბინეტის შედგენაში. ფიქრობენ, რომ მარქსი იძულებული იქნება შეადგინოს კაბინეტი სახელმწიფო მოხელეებიდან. თუ ასე მოხდა, მაშინ ყველა მინისტრები ძველი კაბინეტის რჩებიან თავიანთ პოსტზე გარდა შტრეზემანისა და იარრესისა. იარრესს ალბათ შესცვლის დემოკრატი კოხი სტატს-სეკრეტარი ტრენდელბერგი, ალბათ, დაიჭერს სახელმწიფო ეკონომიის მინისტრის ადგილს.

საიმპერიო მთავრობის შედგენის საკითხმა, როგორც ეტყობა, მიაღწია თავის უკანასკნელ ხაზას. პრეზიდენტ ებერტმა მეხუთეთ სთხოვა კანცლერ მარქს თავისი არჩევანით შეადგინოს საიმპერიო კაბინეტი.

სახალხო პარტიის წევრები გარბიან.

ბერლინი. 8 იან. **სახალხო პარტიის წევრები, პრუსიის ფინანსთა მინისტრი რიხტერი და სახალხო განათლების მინისტრი ბელიცი გადადგენ, თანახმად სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დადგენილებისა.**

გადამდგარ მინისტრების ფუნქციების ასრულება დროებით მინდობილი აქვს ამ უწყებათა სტატ-სეკრეტარებს.

მარქსის „გასაჭირი".

ბერლინი. 8 იან. **საიმპერიო მთავრობის შედგენის საკითხი ჯერ ისევ გამოურკვევლათ რჩება. მარქსს განზრახვა აქვს უარი სთქვას კაბინეტის შედგენაზე.** თუ ებერტი არ დათანხმდა, მაშინ მარქსი ერთხელ კიდევ შეეცდება შეავსოს კაბინეტი ისეთი პირებით, რომლებიც ახლო დგანან ნაციონალისტებთან.

ფიქრობენ, რომ ეხლა ნაციონალისტთა ფრაქცია ნებას მისცემს თავის წევრებს შევიდენ კაბინეტში.

ყოფა

შრომის ნაყოფიერება და სამუშაო დღის გამოყენება

როგორც ცნობილია, შრომის ნაყოფიერების გაზრდის ნიშან ქვეშ ისმება და იჭრება მრავალი საკითხი ჩვენი საწარმოო დაწესებულებათა შინაური ცხოვრებისა. უმთავრესია სწორეთ ეს საქმე დღეს და ისიც, ბუნებრივია, შეადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უდიდეს საზრუნავ საგანს. სწორეთ შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით უდგებიან ჩვენი ამხანაგები სამუშაო დღის (8 საათი) გამოყენების საკითხს და ამასთან დაკავშირებით ერთი შეხედვით პატარა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან საკითხსაც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევხედოთ ჩვენ სადილობის დროს. სახელდობრ: **უნდა შევიდეს სადილობის შესვენება სამუშაო დღეში** და ხელფასი მიეცეს მუშას სადილობის (ნახევარი საათი) დროისთვისაც თუ არა?

რომ შესვენება საჭიროა საქმის მისაღებათ სამუშაო დღის განმავლობაში—ეს არავისათვის საეჭვო არ არის. საეჭვო არ არის შრომის კოდექსის თვალსაზრისითაც ისიც, რომ დასვენების, სადილობის დრო არ უნდა შევიდეს რვა საათის სამუშაო დროში, რომლისთვისაც მუშა იღებს გარკვეულ ხელფასს. მაგრამ სულ სხვას გვეუბნება პრაქტიკა განსაკუთრებით ჩვენში.

ამ საკითხის გარშემო სწარმოებს კამპანია რუსეთის გაზეთებში.

საყურადღებო წერილი უძღვნა ამ საკითხს რუსეთის შრომის კომისარმა ამ. **ბახუტოვმა.** ის ასაბუთებს აზრს, რომ საჭიროა შესვენება მუშაობის დროს სადილისათვის, მაგრამ ამ დროს ის საზღვრავს ერთი საათით.

„იქ სადაც ადგილი აქვს სადილისათვის მუშაობის შეწყვეტას—სწერს ის „**რაბოჩაია გაზეტა"-ში**—ისე ეჭიც, სადაც ამას არა აქვს ადგილი უნდა დაწესდეს ერთი საათით მუშაობის შეჩერება, რათა მუშას საშუალება მიეცეს შესვენის და საჭმელი მიიღოს. **მაგრამ, რასაკვირველია, ეს შესვენება არ უნდა შევიდეს სამუშაო დროში"** (ხაზი ჩვენია).

ამავე აზრს ანვითარებენ მთელ რიგ წერილებში თვით მუშები სხვადასხვა წარმოებიდან. ერთი მათგანი სწერს:

„მუშებმა დაადგინეს დაეწესონ სადილისათვის მუშაობის შეწყვეტა ნახევარი საათით და **არ ჩაანგარიშონ ეს დრო რვა საათის სამუშაო დღეში (не вводить его в счет 8 часового рабочего дня)** (ხაზი ავტორისაა).

ჩვენ გვგონია, რომ ამ საკითხს ჩვენშიც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და შეიქნეს სათანადო სახელმწიფოებრივი და პროფკავშირების ორგანოების და ყველა დაინტერესებულ ამხანაგების გარჩევის საგნად.

გერმანიის მუშების ხმა

მუშების წერილი ებერტისადმი.

ბერლინი. 8 იანვარი. გერმანიის „რემედს"-ის ცენტრალური კომიტეტი აქვეყნებს „როტე ფანე"-ს ფურცლებზე ღია წერილს ებერტისადმი პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ.

წერილი უსაყვედურებს ებერტს იმაში, რომ მისი პრეზიდენტობის დროს კლასიური იუსტიცია, რომელიც მიმართულია შეგნებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ, მძვინვარებდა ისე, როგორც არასოდეს. ბოლოს წერილში ნათქვამია: „მუშათა კლასი არ მოელის ებერტისაგან არავითარ მოწყალებას, არამედ ის მოითხოვს, რათა ებერტმა ისარგებლოს თავისი კონსტიტუციონური უფლებებით და ახალ მთავრობაში შეიტანოს კანონ-პროექტი საყოველთაო ამნისტიის შესახებ.

რეიხსტაგში

„მკაცრი რეგლამენტაცია"

ბერლინი. 8 იანვ. გერმანიის რეიხსტაგის დღევანდელ სხდომაზე სახალხო პარტიის ფრაქციის წევრმა კალემ შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ შემუშავებული იქნეს რეიხსტაგის მუშაობის განაწილების უფრო მკაცრი რეგლამენტაცია, რათა დაცული იქნეს პარლამენტის ღირსება „იმ ტერორისაგან, რომელიც მოსალოდნელია უმცირესობის მხრივ".

კალის შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ეიხგორნი, რომელმაც აღნიშნა სახალხო პარტიის წინადადების ცალმხრივობა, რომელიც მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ. ეიხგორნმა განაცხადა: „კალი გამოვიდა მყვირალა ფრაზებით პარლამენტის ღირსების შესახებ ბურჟუაზიულმა პარტიებმა და სოციალ-დემოკრატიამ მოსპეს პარლამენტის ღირსება მით, რომ სხდომის დარბაზიდან აძევებენ დეპუტატებს პოლიციის დახმარებით და ჯაშუშებით ავსებენ რეიხსტაგის შენობას. კომპარტია მოითხოვს სახალხო პარტიის წინადადების უარყოფას".

სახალხო პარტიის წინადადება მიღებულ იქნა ხმების უმრავლესობით წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა.

სხდომის დახურვის წინ, თავმჯდომარე ლებემ განაცხადა, რომ მიუხედავად ნაციონალისტების, ტევტონელების და კომუნისტების სურვილისა, პოლიტიკური დებატების გახსნა შეუძლებელია შაბათამდე. ლებეს განცხადება მოწმობს იმას, რომ კვლავ დიდი დაბრკოლებები ელობება მთავრობის შედგენას.

უკანასკნელი ცნობები

მიწის-ძვრა

ნიუ-იორკი. 9 იანვარი. ბოსტონში და შტატ „ახალ ინგლისში" დღეს ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწის-ძვრას, რომელიც თითქმის 20 წამი გაგრძელდა. ამ შტატებში ძლიერ იშვიათია მიწის-ძვრა.

ბათომი. 9 იანვარი. დღეს, დილის 8 საათზე და 35 წუთზე ადგილი ჰქონდა მიწის-ძვრას, რომელიც გაგრძელდა 10 წამს.

ფოთი. 9 იანვარი. დღეს, საღამოს 7 საათზე და 35 წუთზე აქ მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. მიწის ძვრა გრძელდებოდა 6 წამს. არაფერი არ დანგრეულა.

მიწის ძვრა თბილისში.

გუშინ, საღამოს 8 საათზე და 30 წუთზე თბილისში ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ მიწის ძვრას. მიწის ძვრა ნელი იყო.

გერმანიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი.

ბერლინი. 9 იანვარი. მარქსმა ჯერაც ვერ შესძლო მთავრობის შედგენა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველივე ღონეს ხმარობს ამისათვის. ყველა სტატ-სეკრეტარებმა უარი სთქვეს მთავრობის შემადგენლობაში შესვლაზე. როგორც იტყობინებიან ფინანსთა მინისტრმა ლიუთერმა და სასურსათო მინისტრმა კანიტცმა შეაჩერეს მარკს გადადგომის შესახებ.

კატასტროფა ბერლინის ქუჩაში.

ბერლინი. 9 იანვარი. ბერლინის ქუჩაში მოხდა სერიოზული კატასტროფა; ავტობუსი დაეჯახა ავტომობილს. მძიმეთ დაშავდა საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელი კატეევა და კიდევ 24 კაცი.

ბისკვიტების გემოს გაფუჭების შემდეგ

ბერლინი. 9 იანვარი. ბარმატის საქმის გამო ცენტრის პარტიის ორი დეპუტატი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გეფლე და ლეინგერხერმანი გადადგენ. გეფლე პასუხისმგებელია იმაში, რომ თავის დროზე ბარმატის ფირმას მისცა სესხის სახით მილიონები. მოელიან კიდევ სხვების გადადგომასაც.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ურთიერთობა საფრანგეთთან მტკიცდება

საბჭოთა კომისიამ დაათვალიერა ბიზერტში მყოფი ჩვენი გემები.—რუმინეთი უკმაყოფილოა იმით, რომ გემები ჩვენ უკან გვიბრუნდება.

ერბეტტის ჩამოსვლისათვის

მოსკოვი. 9 იანვარი. საფრანგეთის საგანგებო ელჩი საბჭოთა კავშირში ჟან ერბეტტი 11 იანვარს ჩამოვა მოსკოვში.

ჩვენი გემების საკითხი

პარიზი. 8 იანვარი. საბჭოთა კავშირის საზღვაო კომისიამ დაამთავრა ბიზერტაში იმ გემების დათვალიერება, რომელიც ვრანგელმა წაიყვანა და ბრუნდება პარიზში.

ურთიერთობა საფრანგეთთან

პარიზი. 8 იანვ. როგორც „ესტ ეროპის" სააგენტო იუწყება, უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკება კრასინსა და დე-მონზის შორის სასურველად მიმდინარეობს. სააგენტოს სიტყვით, ორივე მხარე არ დაკმაყოფილდებიან საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამორკვევით, არამედ განიხილავენ ციფრებს.

რუმინეთი ვერ ისვენებს

ვენა 8 იანვარი. ბუქარესტის გაზეთები იტყობინებიან, რომ საბჭოთა კავშირის საზღვაო კომისიის ბიზერტაში ჩასვლის გამო, რუმინეთის ელჩმა პარიზში ლამანდიმ საფრანგეთის მთავრობას გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირს დაუბრუნდეს ვრანგელის მიერ წაყვანილი გემები.

მემორანდუმში ნათქვამია, რომ თავის დროზე საფრანგეთმა ხელი მოაწერა საგარანტიო სიგელზე მოსკოვში დარჩენილ რუმინეთის ოქროს მარაგის შესახებ, რის გამო რუმინეთს უფლება აქვს მოსთხოვოს საფრანგეთს გირაოს სახით გადასცეს მას ვრანგელის ფლოტი.

მსხვილი კაპიტალისტების ორგანო „ადევერულ" მოითხოვს რუმინეთში არსებულ რუსეთის მთელი სახელმწიფო ქონების კონფისკაციას.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომში

ლამაზად დაწერილი რეზოლიუციები

რეზოლიუცია კელნის საკითხის შესახებ.

ბრიუსელი, 8 იანვარი. კელნის საკითხის შესახებ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შინაარსი სისწორით არ არის გამორკვეული. მაგრამ რამდენად შესაძლებელი გახდა მისი გამორკვევა, ეს რეზოლიუცია მიღწეული კომპრომისის შემდეგ ჰკიცხავს მოკავშირეებს კელნის ზონის ევაკუაციის გადადებისათვის და ამავე დროს სასტიკად აკრიტიკებს გერმანიის მთავრობას ვერსალის ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

რეზოლიუცია ფაშისტური ტერორის შესახებ.

აღმასკომმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ფაშისტურ ტერორს და იმედს გამოსთქვამს, რომ ჩქარა გაიმარჯვებენ დემოკრატები.

შემარიგებელი კომისია.

იმ კონფლიქტის მოსაგვარებლად, რომელსაც ადგილი აქვს უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში, არჩეულია შემარიგებელი კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ტომ შოუ (ინგლისი) და დე-ბრუკერი (ბელგია).

დასასრულ აღმასკომმა დაადგინა მიმდინარე წლის აგვისტოში ან სექტემბერში მოიწვიოს მეორე ინტერნაციონალის კონგრესი საფრანგეთში.

ჟენევის ოქმის ნაშთები

„ახალი გეგმა".

ლონდონი. 8 იანვარი. ინგლისის მთავრობა იმუშავებს დიპლომატიურ ღონისძიებებს, რომელთაც შეუძლიათ შესცვალონ ოქმი არბიტრაჟის შესახებ.

ასეთ ღონისძიებათ გათვალისწინებულია:

პირველი—ინგლისის-საფრანგეთის თავდაცვითი კავშირი და ინგლის-ბელგიის ამგვარივე კავშირი, რომელიც დამყარებულია იმ გვარსავე დებულებებზე, როგორიც შემუშავებული იყო კანნაში.

მეორე ინგლისი იძლევა ბელგიის ტერიტორიის ხელშეკრულობის გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ ბელგიას თავს დაესხმიან.

მესამე—ხელშეკრულება ინგლისს, საფრანგეთ და გერმანიის შორის, რომლის თანახმად მოკავშირე სახელმწიფოები იძლევიან დემილიტარიზაციაქმნილ რეინის ზონის ხელშეუხებლობის გარანტიას, ამასთანავე ამ ხელშეკრულების შესრულების თვალყურის დევნება მიენდობა ერთა ლიგას.

კოლონიები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ყველა ამ წინადადების მიმართ, რადგან უფრო დაინტერესებული არიან წყნარ-ოკეანეს საკითხებით. ამის გამო ისინი იჩენენ ინტერესს ვითომდა კულიჯის მიერ წამოყენებულ წინადადებისადმი ვაშინგტონში ახალ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

აბრამოვიჩის გასტროლები

ბერლინი. 8 იანვარი. „ფორვერტს"-ის ცნობის თანახმად, რუსეთის მენშევიკების ლიდერი აბრამოვიჩი 3 თვით გაემგზავრა ამერიკაში. იქ ის გამოვა მოხსენებებით, რომლებშიაც სასტიკად გაილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აბრამოვიჩს განზრახული აქვს აგრეთვე მოაწყოს კამპანია საბჭოთა კავშირში მყოფ პოლიტიკურ პატიმრების სასარგებლოდ.

რეიხსტაგის კომუნისტ-დეპუტატების ერთი ჯგუფი

ზევით პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. რუთ ფიშერ, 2. კ. ცეტკინ, 3. რემმელე, 4. კორშ, 5. შოლემ, 6. გეკკერტ.
მეორე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. პიკ, 2. შნელლერ, 3. როზენბერგ, 4. კენიგ, 5. შიუტც.
მესამე რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. გეშკე, 2. შლეხტ, 3. ფლორინ, 4. ებერლეინ, 5. კატც, 6. მაქს მასლოვ.

ფაშიზმი „ბრძოლის ველზე"

ახალი არჩევნები.

რომი. 8 იანვარი. იტალიის მინისტრთა საბჭომ საარჩევნო რეფორმის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს მხარი დაუჭირა არჩევნების მაჟორიტარულ სისტემას.

მუსოლინიმ განაცხადა, რომ კანონპროექტის მიღების შემდეგ პარლამენტის ეხლანდელი სესია დათხოვნილი იქნებაო, დანიშნული იქნება ახალი არჩევნები.

თეთრი ტერორი.

რომი. 8 იანვარი. ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებით მთელს იტალიაში სწარმოებს მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. გაზეთების ცნობებით, გასულ ღამეს გენუაში გაჩხრიკეს 100 კაცი, ნეაპოლში—600.

ზოგიერთ ქალაქში მოხდა ფაშისტების და მილიციის ნაწილობრივი მობილიზაცია.

ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს.

რომი. 8 იანვარი. ოპოზიციონურმა პარტიებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მათ მიერ პარლამენტისადმი გამოცხადებული ბოიკოტი ნიშნავს პროტესტს მთავრობის პოლიტიკის და მკვლელობების წინააღმდეგ. ბოიკოტი მიზნად ისახავს თავისუფლების აღდგენას. იმის შემდეგ, რაც მუსოლინიმ განაცხადა, რომ ის თავის თავზე კისრულობს პასუხისმგებლობას ფაშისტების მიერ ჩადენილ ყოველგვარ საქციელისათვის, მხოლოდ სასამართლოს წესით უნდა გამოვერკვია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დანაშაულისა და თვითნებობისათვის.

მაგრამ ბანდა, რომელიც ახდენდა მკვლელობებს, ჰპოულობდა თავშესაფარს და დახმარებას მთავრობისაგან. დასასრულ მანიფესტში ნათქვამია, რომ ახალი არჩევნები ვერ გადასჭრის კრიზისს და თუ ახალი არჩევნები გაიმართება არსებული სასტიკი რეპრესიების პოლიტიკის პირობებში, მთელი ქვეყანა ბოიკოტს გამოუცხადებს მას.

რეაქცია სამხრეთ-სლავიაში

ამხ. დომბალი რადიჩის პარტიის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შესახებ

მოსკოვი 9 იანვარი. „როსტა"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს გლეხთა ინტერნაციონალის გენერალური მდივნის მოადგილემ ამხ. დომბალმა განაცხადა შემდეგი:

„სამხრეთ-სლავიის მთავრობის ბარბაროსული რეპრესიები ხორვატიის რესპუბლიკანური გლეხთა პარტიის წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია მის აკრძალვასთან, მისი ბელადის რადიჩის და გამოჩენილ მოღვაწეების დაპატიმრება, აგრეთვე მისი საარჩევნო სიების მოსპობა დამყარებულია ყალბ „დოკუმენტზე". ამ „დოკუმენტის" სიყალბეს მოწმობს მისი მეხუთე მუხლი, რომელშიაც გლეხთა პარტიის ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ „მან არ დაივიწყოს მუშაობა სოფლად და უზრუნველჰყოს უკიდურეს შემთხვევაში გლეხთა მასების ნეიტრალობა". სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხთა პარტია უნდა შეიქნეს შტაბი უარმიოდ (ნეიტრალობა). ეს სრული სისულელეა.

შემდეგ ამ ყალბი დოკუმენტის შემთხზველი ურჩევს გლეხთა პარტიას რომ ის „უმთავრესად" უნდა ჩაებას მუშათა მოძრაობაში და უნდა აწარმოებდეს ბრძოლას სოციალ-დემოკრატიის და პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგ. რადიჩის პარტია, რომელიც მუშაობს ხორვატიაში, სადაც მუშები შეადგენენ მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს, უნდა გახდეს მუშათა პარტიათ და სავსებით დაივიწყოს მოსახლეობის 30 პროცენტი — გლეხობა, რომელსაც ის ემყარება. ეს პირდაპირ პოლიციის ყოველგვარ ფანტაზიასაც აღემატება. ეს სრული აბდა-უბდაა.

გლეხთა ინტერნაციონალს არავითარ „ხელშეკრულებაზე" ხელი არ მოუწერია. წინასწარ ერთმანეთთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანურ პარტიის წარმომადგენლების—რადიჩის და კოშუტიჩის მონაწილეობით შესდგა 1924 წ. 1 ივლისს კომინტერნის პრეზიდიუმის ოფიციალური სხდომა, რომლის ოქმში მოკლედ იყო აღნიშნული, რომ ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანური პარტია ეთანხმება გლეხთა პირველი საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებებს. სხდომის ოქმში ამას გარდა აღნიშნული იყო, რომ ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანური პარტია მისი წარმომადგენლის რადიჩის განცხადების თანახმად, იტოვებს სავსებით თავის პროგრამას. ყველაფერი ეს გამოქვეყნებული იყო როგორც ჩვენს მიერ, ისე რადიჩის პარტიის ორგანო „სვობოდნი დომ"-ში.

ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანურ პარტიის არა კომუნისტური პროგრამა დამტკიცებული იყო კომინტერნის კონგრესის მიერ იმდენად სისულელეა, რომ ამაზე კამათიც საჭირო არ არის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ძვირფასი განძი.

მოსკოვი. 9 იანვ. თათართა რესპუბლიკის ჩისტოპოლის მაზრის სოფელ დონაუროვკის მცხოვრებმა გლეხმა ბულგარელების ქალაქ ჯუკეტაუში იპოვა განძი. განძი შედგება ოქროს სამაჯურებისა და ძვირფას ქვებისაგან. ნაპოვნ ნივთებზე არის სპარსული წარწერა. ნივთები მხატვრულადაა დაჩუქურთმებული.

საბუთები ალექსანდრე მეორის მკვლელობის შესახებ

ლენინგრადი. 9 იანვ. მწიგნობრობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა სოკოლოვმა იპოვნა მთელი საქმის წარმოება 1881 წლის 1 მარტის ამბების შესახებ. საბუთებს შორის აღმოჩენილია საკუთარ ხელით დაწერილი ჩვენებანი იმათი ვინც პირადათ დაესწრო ალექსანდრე მეორის მკვლელობას.

მთავარ ეკონომიურ სამმართველოში

მოსკოვი, 8 იანვარი. მთავარ ეკონომიურ სამმართველოს სხდომაზე მოსმენილ იყო მოხსენება წარმოების მდგომარეობის შესახებ აზერბეიჯანში. 1923—24 წლებში იგი შესამჩნევით გამაგრდა და მიიღო ორგანიზაციული ხასიათი. ამ ხნის განმავლობაში აზერბეიჯანის წარმოებას არ დასჭირვებია ფინანსიური დახმარება, სავსებით გაისტუმრა ყველა გადასახადი, სამუშაო ხელფასი და ყოველგვარ შეკვეთასაც წესიერათ ასრულებდა.

რადგან აზერბეიჯანის მარილის წარმოებამ მიიღო ფართე ხასიათი, ამიტომ წინადადება იყო წამოყენებული, რომ მარილის მთელი ბაზარი ამიერ-კავკასიაში სავსებით დაუქვემდებარონ ამ წარმოებას. მთავ. ეკ. სამმართველოს კოლეგიამ უფრო მიზანშეწონილათ სცნო ა.-კ. ბაზარი დაახლოვებით გაჰყოს თანაბრათ მარილის სინდიკატსა და აზერბეიჯანის უმაღ. სამეურ. საბჭოს შორის.

გადაწყვეტილია—მორიგ საკითხათ იქმნეს წამოყენებული აბრეშუმის წარმოების გაფართოება.

ყირიმის კურორტებზე მუშაობის გეგმა.

სევასტოპოლი, 8 იანვარი. საკურორტო სამმართველომ შეიმუშავა მუშაობის გეგმა. მომავალ სეზონში ყირიმის სამხრეთ ნაპირზე იქნება 1070 სანატორიული საწოლი და 890 პანსიონური. სასტუმროების მაგიერ იქნება პანსიონები.

ახალი სანატორიუმი ფილტვიანებისათვის.

სვერდლოვსკი. 8 იანვარი. ურალის სოციალური დაზღვევის სამმართველომ გამოჰყო სპეციალური ფონდი 100,000 მანეთის რაოდენობით ფილტვიანებისათვის საზამთრო სანატორიუმის მოსაწყობად. სანატორიუმი გაიხსნება იანვარში.

მასწავლებელთა ყრილობის ამოცანები

ამხ. ლუნაჩარსკის წერილი

მოსკოვი. 9 იან. სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობის შესახებ ამხ. ლუნაჩარსკი „იზვესტიაში" სწერს შემდეგს:

„ამ ჟამად მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი აღფრთოვანებულია იმ მოწოდებით, რომლითაც მათ მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება. ეს მოწოდება შეეხება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად. მასწავლებელთა საზოგადოებრივ მნიშვნელობას და სოფლისა და ქალაქის კავშირის განსამტკიცებელ დიად საქმეს.

ყრილობას ამიტომ ყველაზე მეტად ექნება პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს ყრილობა იქნება არა მარტო თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბჭოთა ხელისუფლებისა და ასი ათას სოფლის მასწავლებელთა შორის არსებულ კავშირისა, არამედ მომავლისთვისაც გაუწოდებს ის ხელს ამ კავშირის განმტკიცებას. ეს საშუალებას მისცემს ყოველ მასწავლებელს გამოარკვიოს თავისი სოციალური როლი და პოლიტიკური ამოცანები, გაახალისებს მასწავლებელთა სოციალურ-პოლიტიკურ დარაზმვას არა მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის წინააღმდეგ მუშაობაში, არამედ უცოდინარობისა, დაუდევრობისა და პოლიტიკურ ჩამორჩენის წინააღმდეგაც.

ეს ყრილობა პირველ ყოვლისა დამახასიათებელი იქნება, როგორც მასწავლებელთა პოლიტიკურათ მომწიფების ხანა; შემდეგ ეს იქნება გრანდიოზული თათბირი მეთოდიკისა და პედაგოგიკის საკითხების შესახებ. ამასთანავე ეს წარმოადგენს განათლების სახკომისარიატის ანგარიშებს მასწავლებელთა წინაშე სახალხო განათლების ნივთიერ შესაძლებლობის შესახებ; და ბოლოს ეს არის ადგილობრივ პირობების გაცნობა ცენტრის მიერ".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

შრომის საქმეთა პროკურორი.

ერევანი. 8 იანვარი. შრომის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა, რომ დაინიშნოს სპეციალური პროკურორი შრომის საქმეებისათვის.

ყველის ქარხნები.

ერევანი. 8 იანვარი. ზანგეზურის მაზრაში იხსნება ყველის სამი ახალი ქარხანა.

7 ახალი კოოპერატიული დუქანი.

ერევანი. 8 იანვარი. 15 იანვარს მუშკოოპი ხსნის ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში 7 ახალ კოოპერატიულ დუქანს.

ზრუნვა წითელარმიელებზე.

ერევანი. 8 იანვარი. კარაკლისის აღმასკომის დადგენილებით, წითელარმიელთა ოჯახები სარგებლობენ უფასო საექიმო დახმარებით.

ყინვები გრძელდება.

ლენინაკანი, 8 იანვ. ძლიერი ყინვის გამო 7 იანვარს სკოლებში მეცადინეობა არ სწარმოებდა. კარაკლისის ჰიდროსადგური არ მუშაობს.

ამხ. ანდრო მათეს ძე ლეჟავა
რ.ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ქარბუქი საქართველოში

მდგომარეობა ფოთში

ფოთი. 9 იანვარი. ტემპერატურის აწევის გამო თოვლი თითქმის მთლად გადნა. რიონის ადიდება ქმნის საშიშროებას, რადგან ერთ ადგილას წყალი დაგუბდა. ფიქრობენ საგუბეს აფეთქებას, რისთვისაც ბათომში სათანადო მასალების შესაძენად გაიგზავნენ აღმასკომის წარმომადგენლები. შეუდგნენ მდინარე კაპარჭას არხის თხრას. მცხოვრებლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ და ეხმარებიან აღმასკომს წინასწარი ზომების მიღებაში.

დარი უცბად შეიცვალა; ამჟამად ტემპერატურა უდრის 2 გრადუსს, ქრის დასავლეთის ქარი და სწვიმს.

აჭარისტანის მაზრებში

ბათომი. 9 იანვარი. აჭარისტანის სოფლები თოვლით არიან დაფარული. მათთან შეწყვეტილია კავშირი. ზემო-აჭარაში დაიღუპა დიდძალი ოთხფეხი საქონელი. არის ადამიანის მსხვერპლიც. ხულოს მაზრაში თოვლის სიმაღლე 4 (?) არშინს უდრის. ჰიდრო-ელექტრო-სადგურზე დარჩენ 150 მუშები, რომელთა შესახებ ჯერ ცნობები არაა მიღებული. ბათომში თოვლი ჩქარა დნება. მოელიან წყალდიდობას. მიღებულია ზომები ქალაქის არხების გასაწმენდათ.

ქედის მაზრაში თოვლის სიმაღლე უდრის 7 (?) არშინს. ადგილი ჰქონდა სახლების დანგრევას, იყო ადამიანის მსხვერპლიც. დიდ საშიშროებაში ვარდებიან ხიდები. ჯერ-ჯერობით არავითარი კავშირი არ არსებობს სოფელსა და სოფელს შორის.

ქუთაისი 9 იანვარი. ქარბუქის და სიცივეების გამო ქალაქში პირველი მოთხოვნილებების საგნებზე ფასმა აიწია. ამჟამად მოდის წვიმა. ყინვების დროს გაჩერდნენ თითქმის ყველა წისქვილები, რამაც გამოიწვია ფქვილის კრიზისი. ეხლა მდგომარეობა გაუმჯობესდა. ტემპერატურა ნულზე ზევითაა (3 გრადუსი). მოელიან წყალდიდობას. ქრის ძლიერი ქარი.

ბორჯომის ქარხნები

ბორჯომი 9 იანვარი. ყინვების გამო მუშაობა შეაჩერა პირველმა მინერალურმა ქარხანამ. გაჩერდა აგრეთვე შუშის ქარხანაც. კომბ. ნახმა დიდი ზარალი ნახა. თოვლი დნება, სწვიმს.

მასწავლებელთა დელეგაცია პარტიის და მთავრობის წარმომადგენლებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგაცია პარტიის [illegible]

8 იანვარს დღის 2 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ესტუმრა საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობის დელეგაცია.

დელეგაცია მიიღო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ცეკას მდივნის ამხ. მ. კახიანის და ამხ. ფ. მახარაძის თანდასწრებით.

დელეგაციის წარმომადგენლის ამხ. ს. ლორთქიფანიძის სიტყვა.

ყრილობის დელეგაციის სახელით ცენტრალურ კომიტეტს სიტყვით მიმართა ამხ. ს. ლორთქიფანიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ხელისუფლებისა და პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას სახალხო მასწავლებლობისადმი. ორატორი გადასცემს ცეკას ყრილობის ერთსულოვან დადგენილებას მასწავლებლობის, პარტიის და ხელისუფლების საერთო შეთანხმებული მუშაობის შესახებ საბჭოთა მშენებლობის ყოველ დარგში მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ.

ამასთანავე ორატორი აღნიშნავს რა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გასულ წლებთან შედარებით, გამოსთქვამს იმედს რომ პარტია და ხელისუფლება მომავალშიაც წინ წასწევს მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას და მასწავლებლობას აიყვანს იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა.

დასასრულ ორატორი გადასცემს ცეკას ყრილობის შუამდგომლობას იმ მასწავლებელთა საქმის გამორკვევის შესახებ, რომელნიც გაუგებრობით არიან დაპატიმრებულნი.

ყრილობა იმედოვნებს რომ პარტია გამოექომაგება დაპატიმრებულთ და მისცემს მათ საშუალებას კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საქმიანობას.

—ამიერიდან მასწავლებლობა მთლიანად იქნება პარტიასთან და დაეხმარება მას ჩვენი ქვეყნის ასაღორძინებლად წარმოებულ მუშაობაში — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ლორთქიფანიძე.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

საქ. კომპარტიის ცეკას სახელით საპასუხო სიტყვას ამბობს ფ. მახარაძე, რომელიც განმარტავს რა პარტიის ხელისუფლებას და მასწავლებლობის დანიშნულების მშრომელი ხალხის მიმართ, დაასკვნის, რომ მასწავლებლობა არის მშრომელთა ხელისუფლების ბუნებრივი მოკავშირე. ეს ჭეშმარიტება განაგრძობს ამხ. ფ. მახარაძე ნათელი ხდება მასწავლებლობის ფართო მასსებისათვის, რომელნიც გასულ წლებში, ხალხის მტრების ყალბი ჩაგონებით განზე უდგენ მუშათა და გლეხთა მთავრობის საქმიანობას. აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას განათლების ფრონტსა და მასწავლებლობას, პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავს მასწავლებლების ნივთიერ უზრუნველყოფისათვის და საბჭოთა მშენებლობაში ჩაბმისათვის. ერთმანეთთან დაახლოვების წადილმა მასწავლებელთა ყრილობაზე საუკეთესო ნაყოფი გამოიღო და მასწავლებელთა პირველმა ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა ხელისუფლების, პარტიის და მასწავლებლობის შეთანხმებულ თანამშრომლობას.

მასწავლებლობის სამოღვაწეოდ გაშლილია ჩვენი კულტურულ და სამეურნეო მშენებლობის ყოველი დარგი, სადაც მას შეუძლია გამოიჩინოს თავისი ცოდნა და მუშაობის უნარი. ხელისუფლება და პარტია ყოველი ღონისძიებით ეცდება ზურგი გაუმაგროს მასწავლებელთა საქმიანობას და განამტკიცოს მისი ნივთიერი მდგომარეობა. მასწავლებლობის, პარტიის და ხელისუფლების ხელიხელჩაკიდებული მუშაობა თავდები იქნება იმისი, რომ მშრომელთა საქართველო დაუბრკოლებლათ წინ წავა ეკონომიურ და კულტურულ წარმატების გზაზე.

რაც შეეხება დაპატიმრებულ მასწავლებელთ, მასწავლებელთა ყრილობის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება. პარტია ეცდება პატიმრობიდან გაანთავისუფლოს არა მარტო ის, ვისაც ბრალი არ მიუძღვის, არამედ ისიც, ვისიც დანაშაული დიდი არ არის.

დასასრულ ორატორი კვლავ უსურვებს მასწავლებლობას ნაყოფიერ მუშაობას მიღებულ გადაწყვეტილებათა მიხედვით.

დელეგაცია მთავრობასთან

მასწავლებელთა პირველმა ყრილობამ მთავრობის წინაშე წარგზავნა დელეგაცია, რომელიც ესტუმრა მთავრობას 8 იანვარს დღის პირველ საათზე. დელეგაციასთან ერთად ახლდა აგრეთვე ყრილობის პრეზიდიუმი.

დელეგაციამ გააცნო რა მთავრობის წარმომადგენლებს ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუციების შინაარსი, მასწავლებლობის სახელით აღუთქვა მთავრობას ამოუდგეს გვერდში ხელისუფლების ორგანოებს ქალაქის და სოფლის მშრომელთა კულტურულ-ეკონომიურად აღორძინებისათვის წარმოებულ მუშაობაში. ხელისუფლების გულწრფელმა და თავდადებულმა მუშაობამ, განაცხადა დელეგაციამ, მასწავლებელთა შორის უკვე საბოლოოდ [illegible] წარსული უნდობლობის ნაშთები, რომელიც რამოდენიმე ხნის წინად ხელს უშლიდა მასწავლებლობას ხელიხელ ჩაკიდებული ეთანამშრომლა საბჭოთა მთავრობის და პარტიის წარმომადგენლებთან.

უკავშირებს რა მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღორძინებას, დელეგაცია მასწავლებლობის სახელით დაპირებას აძლევს მთავრობის წარმომადგენლებს მთელი თავისი გულისყური და საქმიანობა მიმართონ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ გლეხობაში სამეურნეო ცოდნის შეტანის საშუალებით. ამავე დროს დელეგაცია სთხოვს მთავრობას ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის წარმატებასთან ერთად წინ წასწიოს სახალხო მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობაც.

დელეგაციას საპასუხო სიტყვით მიმართეს მთავრობის წარმომადგენლებმა, რომელნიც ესალმებიან რა საქართველოს მასწავლებლობის ბრძნულ გადაწყვეტილებას აქ ხელისუფლების და პარტიულ ორგანოებთან ამხანაგური თანამშრომლობის შესახებ, დაპირებას აძლევენ, რომ ხელისუფლება მუდამ მზად იქნება მიანიჭოს მასწავლებლობას ყოველგვარი შესაძლებლობა კულტურულ და სამეურნეო ფრონტზე მუშაობისათვის.

მცირე საუბრის შემდეგ სასახლის ბაღში დელეგაციამ მთავრობის და პარტიის წარმომადგენლებთან ერთად გადაიღო სურათი.

მარქსიზმი და პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირის საკითხი

საკითხი პროლეტარიატის და გლეხკაცობის ურთიერთობისა, მათი დამოკიდებულებისა ერთმანეთს შორის, არის რუსეთის რევოლიუციის ცენტრალური საკითხი. ის არ კარგავს თავის აქტუალურ მნიშვნელობას რევოლიუციის განვლილ ისტორიის მანძილზე, ისე როგორც არ დაკარგავს ის ასეთ ხასიათს ამ უახლოეს წლებში და შეიძლება ათეულ წლებშიც. ამავე დროს შეცდომა იქნება იმის თქმა, თითქოს ეს საკითხი საჭიროებოთ გამხდარიყოს მარტო რუსეთის კომუნისტური პარტიისათვის. არა. ის საჭიროებოა ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიებისათვის, იმ განსხვავებით, რომ რუსეთში უფრო ადრე დაისვა ეს საკითხი პრაქტიკულათ, ვიდრე სხვაგან. ჩვენ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმ დიდ თუ მცირე როლზე, რომელიც შეუძლია ითამაშოს გლეხკაცობამ ამა თუ იმ ქვეყანაში; რა თქმა უნდა, რუსეთში, ბულგარეთში, რუმინეთში და სხვ. აგრარულ ქვეყნებში გლეხკაცობას მეტი [illegible] წონა აქვს, ვიდრე გერმანიაში, ან ინგლისში. ეს საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა დონემდის მიაღწია კაპიტალიზმის განვითარებამ ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ როგორ ღრმათ მიდიოდა პროცესი წვრილი მწარმოებლების პროლეტარიზაციისა და კაპიტალის კონცენტრაციისა.

ჩვენ გვაინტერესებს ზოგადი საკითხი: შეუძლია თუ არა პროლეტარიატს გვერდი აუაროს გლეხკაცობას რევოლიუციის წინ ან შემდეგ? თუ არა, მაშინ როგორი უნდა იყოს მათი დამოკიდებულება? და ბოლოს უფრო რთული, მაგრამ საინტერესო საკითხი: როგორია გლეხკაცობის გზა სოციალიზმისაკენ? ამ სამ კითხვაზე გვინდა შევჩერდეთ ამ წერილებში.

I.

ლენინმა პრაქტიკულათ დასვა პროლეტარიატის და გლეხკაცობის ბლოკის საკითხი, როგორც საკითხი რევოლიუციის გამარჯვებისა რუსეთში. მიუხედავათ იმისა, რომ ის დასვა და გადაწყვიტა ნაციონალურ მასშტაბში, ამავე დროს ის ინტერნაციონალური საკითხია, ე. ი. საკითხი, რომელიც შეეხება ყველა ქვეყნებს; ლენინმა თავისი წვლილი შეიტანა თანამედროვე მარქსიზმში: მან გააღრმავა და ლოღიკურ დასკვნამდი მიიყვანა მარქს-ენგელსის ცალკე დებულებები გლეხკაცობაზე. ასე წარმოიშვა ლენინიზმის ერთი მთავარი შემადგენელი ელემენტი, მოძღვრება გლეხკაცობის და პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ.

მენშევიზმი არ სცნობს ამ მოძღვრებას და სცდილობს დაიცვას „მარქსიზმის" სიმწიკვლე ბარბაროსულ ლენინიზმისაგან. პირველი—ევროპიული მოვლენაა, მეორე კი აზიური, წარმოშობილი ჩამორჩენილი რუსეთის პირობებში. მაშასადამე, ბრძოლა აზიურ სოციალიზმთან, გაუმარჯოს ევროპიულ „სოციალიზმს",—ასეთია მენშევიზმის ლოზუნგი ამ საკითხში.

ჩვენი ამოცანა, აქ, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ დავამტკიცოთ შემდეგი დებულება: ლენინის მოძღვრება გლეხობაზე არის გაშლა, გაფართოვება და გაღრმავება მარქს-ენგელსის იმ დებულებებისა, რომლებიც გლეხთა საკითხს შეეხება. უნდა დავამტკიცოთ, რომ აქ მარქს და ენგელს შორის, ერთის მხრივ, და ლენინის, მეორეს მხრივ, არ არის წინააღმდეგობა. რომ ლენინის მოძღვრება არის ის მნიშვნელოვანი დამატება, რომელიც აიხსნება იმ განსაკუთრებული პირობებით, რომლებშიც სცხოვრობდა ლენინი (ფინანსიური კაპიტალი, იმპერიალისტური ომების ეპოქა და სხვ.).

მაშასადამე, რომ აშკარა გახდეს ჩვენთვის მუშათა და გლეხთა კავშირის ლოზუნგის მარქსისტული წარმოშობა—ერთის მხრივ, და ნათელი გახდეს ამ პრობლემის მთელი მნიშვნელობა მიმდინარე ხანაში—მეორეს მხრივ, აუცილებლად საჭიროა შევჩერდეთ იმ ცალკე დებულებებზე, რომლებიც მარქს ენგელსის ნაწერებშია გაბნეული ამის შესახებ.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა კონცენტრაცია - პროლეტარიზაციის თეორიაზე.

მარქსმა ნათლათ დაგვიხატა თავის „კაპიტალში" კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენცია. ამ პროცესის მეორე მხარეს წარმოადგენს წვრილი მწარმოებელთა პროლეტარიზაციის ტენდენცია. თავის თავათ იგულისხმება, რომ თუ საზოგადოების ერთ პოლიუსზე, ერთი კლასის ხელში თავს იყრის მთელი სიმდიდრე და საწარმოო საშუალებები, საზოგადოების მეორე პოლიუსზე თანდათან იზრდება რიცხვი იმ ელემენტებისა, რომლებიც მოკლებულია ამ სიმდიდრეს და საწარმოო საშუალებებს. ასეთია მოკლეთ ამ თეორიის განმარტება.

რამდენადაც ღრმათ და ჩქარი ტემპით მიდის ეს პროცესი, იმდენათ უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რასაც ბოლოს და ბოლოს მივყევართ რევოლიუციამდის, ე. ი. ბურჟუაზიული წესწყობილების კრახამდის. სოციალისტური რევოლიუცია და სოციალისტური წყობილება, მაშასადამე, ლოღიკური შედეგია იმ წინააღმდეგობებისა, კანონებისა და პროცესსებისა. რომლებსაც ადგილი აქვთ კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

მენშევიკებმა აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ სოციალისტური რევოლიუცია შორეული მიზანია რადგან ჩვენ უნდა დავიცადოთ იმ დრომდის, სანამ კაპიტალიზმი ბოლომდის მიიყვანს ამ პროცესს ე. ი. უნდა დავიცადოთ მანამდის, სანამ არ გაპროლეტარდება უკანასკნელი წვრილი ბურჟუა და ხელოსანი. ამ რიგათ, მაშინ ერთ მხარეზე იქნებიან მყვლეფელები, მეორეზე—გაყვლეფილები და რადგან მყვლეფელთა რიცხვი ძლიერ მცირე იქნება, ძალა-უფლების დაპყრობაც ადვილი და უსისხლო იქნება (შეიძლება ეს დაპყრობა ოთხ ფორმულიანი საარჩევნო სისტემის საშუალებითაც მოხდეს!).

თავისთავად ცხადია, რომ რაკი საზოგადოებაში აღარავინ არ დარჩა, გარდა ბურჟუების და პროლეტარებისა, რაკი სხვა საშუალო კლასები გაითქვიფა ამ ორ კლასში, მენშევიკების წინაშე გლეხთა საკითხი, საკითხი მათი დამოკიდებულებისა მუშათა კლასთან, როგორც გადატრიალების წინ, ისე შემდეგ არ შეიძლებოდა დამდგარიყო. ეს ლოღიკური დასკვნაა მარქსიზმის მენშევიკური გაგებისა. რა თქმა უნდა, თუ კაპიტალიზმი ისე განვითარდა, რომ გაყლაპა ყველა გლეხები და წვრილი მწარმოებლები, საჭირო აღარ იქნება გლეხობის საკითხის გარშემო თავის მტვრევა. და ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ მენშევიკები მცირე ყურადღებას აქცევენ გლეხკაცობის და პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხს. მცირეოდენი ინტერესი კი აიხსნება იმით, რომ მენშევიკებს სურდათ აგიტაციის საშუალებით თავის მხარეზე მიიმხრონ გლეხები არჩევნების დროს. აქედან ცხადია, რომ ამათთვის გლეხთა საკითხი სრულებით არ სდგას, როგორც სოციალისტური პროლეტარიატის პოლიტიკის საკითხი. და ყოველივე ამას ისინი ასაღებენ მარქსიზმათ. ეჭვი არ არის, რომ მენშევიკების ამ ნიჰილიზმში მარქსიზმის ნატამალიც არ არის.

მარქსიზმს სწამს ბურჟუაზია და პროლეტარიატი, როგორც მთავარი მებრძოლი და მამოძრავებელი კლასები თანამედროვე საზოგადოებისა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებაში არ მოიპოვებიან სხვა ძალები, რომელთაც აქვთ ხშირად ისეთი მნიშვნელობა, რომ სწყვეტენ ამა-თუ იმ ბრძოლის ბედს. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ 1848 წლის აჯანყება, ისე როგორც პარიზის კომუნა, დამარცხებული იქნა იმ ჯარისკაცების შემწეობით, რომლებიც გლეხკაცობიდან გამოვიდნენ. სწორედ ეს გლეხკაცობა მიემხრო ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ და ამით გადისწყვიტა მუშათა კლასის ძალაუფლების ბედი.

რევოლიუციონური აჯანყების საკითხი, უპირველეს ყოვლისა, არის და უნდა იყოს მებრძოლი ძალების შეფასების საკითხი. ეს ძალები კი შესდგებიან სხვადასხვა კლასებისაგან. ჯგუფებისაგან და წრეებისაგან, რომელთა შორის გლეხკაცობას საპატიო ადგილი უჭირავს. არ შეიძლება კაცობრიობის განვითარებამ მიაღწიოს იმ წერტილს, როდესაც ეს მებრძოლი ძალები მარტო ბურჟუაზიის და პროლეტარიატისაგან იქნებ შემდგარი. წმინდა ბურჟუაზიული საზოგადოება—ეს აბსტრაქციაა, რომლის რეალური არსებობა წარმოუდგენელია. ამ უაზრო აბსტრაქციამდის მიყავს მენშევიკები მარქსიზმის ყალბ გაგებას.

როგორია ნამდვილი მარქსიზმი ამ საკითხში? როგორ უყურებდა მარქსი და ენგელსი გლეხობის საკითხს? საჭიროა თუ არა პროლეტარიატისათვის მოკავშირეები ბურჟუაზიასთან ბრძოლაში? ამ კითხვებზე ნათელი პასუხის მისაცემად საჭიროა მოვიყვანოთ ის ადგილები მარქს-ენგელსის საწერებიდან, რომლებიც შეეხებიან პროლეტარიატის გლეხკაცობასთან კავშირის აუცილებლობას (ჩვენ აქ გვერდზე ვსტოვებთ საკითხს გლეხკაცობის სხვადასხვა შემადგენელ წრეების როლის შესახებ, რადგან ეს გაართულებს საკითხის გამორკვევას; ამის შესწავლა ცალკე შრომას მოითხოვს). რა თქმა უნდა, ეს ადგილები შეეხებიან უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, უპირველეს ყოვლისა კი გერმანიის და საფრანგეთს. ენგელსი 60-იანი წლების დასასრულში სწერდა ერთ თავის შრომის („გლეხთა ომი გერმანიაში") წინასიტყვაობაში შემდეგს: „კლასი, რომელიც განსაკუთრებით და სავსებით ცხოვრობს თავისი სამუშაო ქირით, დღესაც არ შეადგენს გერმანელი ხალხის უმრავლესობას. ცხადია, რომ ისიც იძულებულია მიმართოს მოკავშირეებს, რომელთა მოძებნა შეუძლია მას მარტო წვრილ ბურჟუაზიაში, ქალაქის ეგრედწოდებულ ლუმპენ პროლეტარიატში, წვრილ გლეხობაში და სოფლის მოჯამაგირეებში"*), (ხაზი ჩვენია კ. ო.).

რას გვეუბნება ეს პატარა ამონაწერი?

გერმანიაში პროლეტარიატი არ წარმოადგენს უმრავლესობას; ამიტომ კლასობრივ ბრძოლაში მან უნდა იპოვოს მოკავშირე. მაგრამ სად უნდა ეძიოს მან ეს მოკავშირე? ენგელსი ამაზე გარკვევით უპასუხებს: პროლეტარიატს შეუძლია იპოვოს მოკავშირე ქალაქის წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებში და სოფლის წვრილ, ღარიბ გლეხკაცობაში. როგორც აქედან სჩანს, არც ისე მომაკვდინებელი ცოდვა ყოფილა გლეხობასთან მეკავშირება ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მუშათა და გლეხთა კავშირი არ ყოფილა მარტო ბოლშევიკების „ანტიმარქსისტული" ბოდვა. არა. ამაზე ჩვენ მიგვითითებდენ თვით მარქსიზმის მამამთავრები. სოფლის ღარიბ გლეხკაცობაში უნდა შევიტანოთ შეგნება მისი ინტერესებისა და როდესაც „მასსა სოფლის ბოგანო ხალხისა შეიგნებს თავის საკუთარ ინტერესებს,—რეაქციონური, ფეოდალური, ბიუროკრატიული ან ბურჟუაზიული მთავრობა გერმანიაში შეუძლებელი გახდება." *) ასეთია ენგელსის დასკვნა. მაგრამ როგორ შეიძლება დავარწმუნოთ გლეხკაცობა იმაში, რომ მისი ხსნა მარტო მუშათა კლასთან კავშირშია? აქ არის საკითხის მთელი სირთულე. ეს სირთულე გამოწვეულია მით, რომ გლეხობა არ წარმოადგენს მთლიან ერთეულს, არამედ შესდგება სხვადასხვა წრეებისაგან. კერძოთ ჰემამულეთა გლეხებზე ენგელსი ამბობს შემდეგს: „თუ ბურჟუაზიამ აიგვიანა თავისი მოვალეობის შესრულება მათ წინაშე, თუ მან არ გაანთავისუფლა ის ბატონ-ყმური ურთიერთობიდაგან, მაშინ ძნელი არ იქნება მათი დარწმუნება იმაში, რომ მათი ხსნა მარტო მუშათა კლასშია"**)

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს ადგილები, რადგან ისინი არ შეეხებიან მარტო გერმანიას, რომელზედაც სწერდა ენგელსი. რუსეთში პროლეტარიატი დიდ უმცირესობას წარმოადგენს, ამიტომ მას აუცილებლათ უნდა ეპოვა მოკავშირე. ასეთი მოკავშირის პოვნა კი მას შეეძლო უმთავრესათ იმ გლეხკაცობაში, რომლის მიმართ ბურჟუაზიამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ე. ი. არ გაანთავისუფლა ის ბატონყმობის უღლისაგან. ამრიგად, მუშათა კლასი და მემამულეების მიერ დაჩაგრული წვრილი გლეხკაცობა, რევოლიუციის წინ უნდა გადაქცეულიყვენ ბუნებრივ მოკავშირეებათ. ასე გეგონებათ, თითქოს ეს სტრიქონები, ენგელსის მიერ, სპეციალურათ რუსეთისთვის იყოს დაწერილი.

მაგრამ შეიძლება მარქსი არ ეთანხმება ენგელსს ამ საკითხში, შეიძლება მარქსის აზრით საჭირო არ არის გლეხკაცობის თანამშრომლობა პროლეტარიატთან. ამ საკითხის გასარკვევათ ჩვენ მოვიყვანთ ორ ადგილს მარქსის ნაწერებიდან. პირველი შეეხება გერმანიის რევოლიუციას, მეორე კი საფრანგეთისას.

1856 წ. მარქსი სწერდა ენგელსს თავისი წერილის დასასრულში შემდეგს: საქმის მიმდინარეობა გერმანიაში—დამოკიდებულია პროლეტარული რევოლიუციისათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობაზე, ასე ვსთქვათ გლეხური ომის განმეორებაზე. მაშინ ყველაფერი მშვენივრათ წავა *) (ხაზი ჩვენია კ. ო.).

აქ მარქსი გარკვევით ამბობს, რომ გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის ბედი დამოკიდებულია გლეხკაცობის მონაწილეობაზე ამ რევოლიუციაში. ამ რიგათ, როგორც ენგელსს, ისე მარქსს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ მოკავშირე, გლეხობის სახით, გერმანიაში.

მეორე ამონაწერი უფრო საინტერესოა. საინტერესოა ის მითაც, რომ ეს ადგილი გამოტოვებული იქნა მარქსის შრომის: „მე-18-ტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტესი" მეორე და შემდეგ გამოცემებში. ამავე დროს ამ ამონაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარქსი ამბობს საფრანგეთის შესახებ:

„თუ ჩვენ შევსძლებთ ამ გლეხური მასების გაღვიძებას, მათ დაკავშირებას პროლეტარიატთან, მაშინ პროლეტარული რევოლიუცია მიიღებს იმ მიმდინარეობას, ურომლისოთ მისი სოლო შეიქმნება მხოლოდ გედის სიმღერა ყველა გლეხურ ქვეყნებში." **) (ხაზი ჩვენია კ. ო.)

მარქსი საჭიროთ სცნობს გლეხკაცობასთან კავშირს არა მარტო საფრანგეთში, არამედ ყველა აგრარულ ქვეყნებში. უამისოთ ფიქრი რევოლიუციის გამარჯვებაზე ამ ქვეყნებში ლამაზი ოცნებაა. ასეთი დასკვნის გამოყვანა ძნელი არ იყო 1848 წ. რევოლიუციიდან. გლეხკაცობამ მაშინ უარყოფითად გადასწყვიტა რევოლიუციის ბედი. აქედან გამომდინარეობს ჭეშმარიტი სოციალისტების ამოცანა: გასწიონ აგიტაცია - პროპაგანდა გლეხკაცობაში, რომ მან მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის რევოლიუციონურ აჯანყებას. 1848 წ. გაკვეთილმა ამათ არ ჩაიარა. მარქსმა შესაფერი ამოცანა დაუსახა ყველა ქვეყნის სოციალისტებს, მაგრამ ეს ამოცანა დავიწყებული იქნა და თვით ის ადგილი, სადაც მარქსი სწერდა პროლეტარიატს გლეხკაცობასთან კავშირის აუცილებლობაზე, გამოტოვებული.

ზემოთ მოყვანილი ადგილები შეეხება პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირის აუცილებლობას რევოლიუციის წინ, საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ შეიძლება ვინმემ სთქვას: ეს—დროებითი კავშირია განსაზღვრული მიზნების მისაღწევათ. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი ამ ორი მოკავშირის ინტერესები ერთმანეთს სცილდებიან და მიიმართებიან ურთიერთის წინააღმდეგ. მაშასადამე, რევოლიუციის მეორე დღეს ეს დროებითი კავშირი ირღვევა.

ამონაწერები მარქსის და ენგელსის შრომებიდან შეეხებიან მართლაც მუშათა და გლეხთა კავშირის რასაკვირველია, მუშათა ხელმძღვანელობით) რევოლიუციამდე.

როგორია მათი შეხედულება ამ საკითხზე რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ? როგორი უნდა იყოს გამარჯვებული პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხკაცობასთან?

მრეწველობის დარგში პროლეტარიატი ატარებს სოციალისტურ ღონისძიებებს, აცხადებს მსხვილი წარმოების ნაციონალიზაციას, რაციონალურათ აწყობს მეურნეობას, სცდილობს რა მის გეგმის ნიადაგზე აგებას და სხვ. ასე რომ გზა სოციალიზმისაკენ ქალაქში ცოტათ თუ ბევრათ ნათელია. მაგრამ როგორც ვსთქვით, სოციალისტური რევოლიუცია მოხდება უფრო ადრე, ვიდრე უკანასკნელი წვრილი ბურჟუა გადაბარგდება პროლეტართა ბანაკში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ რჩება წარმოების ძველი ფორმები, ძველი ნაშთები. ეს რუდიმენტებია წარსულის. განსაკუთრებით ამას აქვს ადგილი სოფელში, გლეხთა წვრილ მეურნეობაში. ქალაქში შედარებით ადვილათ შეიძლება ჩატარება ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის, სოფელში კი მდგომარეობა გაცილებით რთულია. კიდევ მეტი, იქ შეუძლებელია ასეთი ექსპროპრიაციის ჩატარება, რადგან გაბატონებული ფორმა საკუთრებისა იქ არის წვრილი საკუთრება.

---

*) იხ. ენგელსის „Крестьянская война в Германии" перевод Котляра, изд. Пролетариат", გვ. 14.

*) იქვე, გვ. 16.
**) იქვე, გვ. 11.

*) იხ. მარქსის და ენგელსის „წერილები" გვ. 65, რუსულ. გამოც.
**) იხ. „Правда" 1924 წ. 10 ივლისი, № 154.

კომპლექტი

მუშათა ცხოვრება

გაიყვლიფა მუშათა უბანი

(ალმასკომის და მუშკოოპის საყურადღებოდ).

მეხუთე უბანში (ხარფუხში) ს. იდამათის ქუჩაზე არის დარაბა № 12. ამ დუქანი უჭირავს არუთინა მჭედლიშვილს. ეს გაიძვერა ვაჭრუკანა ძალიან ყვლეფს მუშათა უბანს. გლეხებს სოფლებიდან ჩამოაქვთ შეშა, ნახშირი, არაყი, ღვინო და სხვა. ეს სპეკულიანტი ყველა ამ საგნებს ყიდულობს ძალიან დაკლებულ ფასებში და ჰყიდის ერთ სამად და პირდაპირ ტყავს აძრობს ადგილობრივ მუშათ და ღარიბ მოსახლეებს.

მას არა აქვს უფლება გაყიდოს არაყი და ღვინო. ის მაინც ჰყიდის მათ. ამ უბანში ეს ერთად ერთი დუქანია და ძალიან ძვირად ჰყიდის საქონელს. ამას გამო ამ გაიძვერა ვაჭრუკანამ მუცელი ძალიან გაისქელა მუშების ოფლით. ამ ვაჭრუკანას დუქნის გვერდით კი არის ერთი დუქანი, რომელიც ცარიელია. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ აქ გაეხსნათ მუშკოოპის დუქანი და ეს ბინძური სპეკულიანტი აგველაგმა.

ახკორი ამ. რანიძე.

ჩვენი მუშები „რემედას“-ში ეწერებიან

7 იანვარს გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში შესდგა აქაურ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და „რემედასი“ ამოცანები საკავშირო ს. ს. რესპუბლიკებში. მოხსენება გააკეთა ამხ. დუდკომ.

საერთო კრებამ პირველ საკითხზე მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია. „რემედასის“ შესახებ კრებამ დაადგინა შეეცადოს ყველა მუშები შევიდნენ „რემედას“-ში წევრებად, აგრეთვე გავრცელდეს მუშებში მის სასარგებლოდ ბროშიურები და კლუბის ბილეთები.

მუშკორი—ია.

წყლით სპეკულიაცია დაუშვებელია.

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

დიდმა ყინვა-სიცივემ უმეტესი ნაწილი წყალსადენის ლულები და ონკანები გაყინ და დახეთქა, უმეტესად პირველ უბანში. ამ ნაწილში მცხოვრებნი მუშა-მოსამსახურის 90 პროც. უწყლოდ არის დარჩენილი. ყოველდღის ნაბიჯზე შეხვდებით ვედროებით ხელში მორბენალე ქალებს და ბავშვებს. აქა-იქ ეზოში, სადმე სარდაფში ან სამზარეულოში მოქმედებენ წყალსადენები, მაგრამ იმ ეზოს მობინადრეები დარაჯად დასდგომიან და თითო ვედრო წყალში ღარიბ დამშეულ მუშა მოსამსახურეებს ახდევინებენ 10—15 კაპ., ასე რომ თვითეულ მუშას დღიურად წყალში ეხარჯება არა ნაკლებ 50 კ. სანიმუშოდ დავასახელებ გუნიბის ქუჩას, სახლი № 5 და № 8, სადაც მდგმურებს ბევრ ხუთი დღეა ადევინებენ ვედრო წყალში 10—15 კ. დაიწყეს 10 კაპ. ხდევინება, ეხლა კი 15 კაპ. ახდევინებენ ნაღდად.

საჭიროა საჩქაროდ მიექციოს ყურადღება ასეთ ბოროტებას და ალმოიფხვრას იგი.

ინფორმატორი.

ქარხანა „თემქა“-ს მდგომარეობა

ამჟამად ქარხანაში მუშაობს 85 კაცი. დირექტორმა ჩოდრიშვილმა როცა ჩაიბარა ქარხანა, მუშაობდა 110 კაცი. ზოგიერთი მუშა გადავიდა სხვადასხვა ქარხნებში და ზოგნი კი მოყვნენ შტატის შემცირებას და მუშათა რიცხვი დაეცა 85 კაცამდე. ამ უკანასკნელ ხანებში ამხ. ჩოდრიშვილი იქნა გადაყვანილი სხვა სამსახურზე და მის ნაცვლად ქარხანას დაუბრუნდა ყოფილი დირექტორი ინჟინერი იუზბაშიანი. ინჟინერ იუზბაშიანს კარგი ავტორიტეტი აქვს მუშებში მოპოვებული. მას აქვს დასახული მიზნად ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესება. ცდილობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სამუშაო არ მოაკლდეს ქარხანას და მუშები არ მოყვნენ შტატის გარედ. აგრეთვე ის შეუდგა ყველა ტექნიკური მხარეების გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია შრომის ნაყოფიერების ასაწევად, ყველა სახარატო ჩარხებისა და სხვა სამუშაო იარაღების შეკეთებით.

აგრეთვე ის დიდ დახმარებას უწევს ადგილკომის მუშაობას კულტურულ დარგში.

დიდი იმედებია, რომ ქარხანაში ახლო მომავალში შრომის ნაყოფიერება იქნება კარგ დონეზე დაყენებული. არის იმედები რომ თემქაში შტატების გადიდებაც იქნეს მომავალში, ვინაიდან წარმოება იზრდება.

მუშკორი ვ. მეუნარგია.

ჩვენ მუშკორებში

ა|წ. 7 იანვარს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისის მუშკორების, სამხკორების და ახკორების საერთო კრება, რაზედაც გამოცხადდა დიდი უმრავლესობა თბილისის მუშკორებისა.

კრებაზე მომხსენებლად გამოვიდნენ რუსულ ენაზე ამხ. შაპოჩნიკოვი და ქართულ ენაზე ამხ. შაქრო ნავთლუღელი. მომხსენებლებმა კრებას გააცნეს მოსკოვში 5—14 დეკემბერს შემდგარ მუშკორ-გლეხკორ, სამხკორ და ახკორების კონფერენციის საქმიანობის შესახებ.

მათ აღნიშნეს, რომ კონფერენციაზე დაესწრო საკავშირო ქალაქების წარმომადგენელი მრავალი მუშკორნი. მომხსენებლად გამოვიდნენ ამხ. კრუპსკაია, ზინოვიევი და ბუხარინი. მათი დახმარებით და ხელმძღვანელობით კონფერენციამ გამოიტანა საყურადღებო დადგენილებანი, რასაც მომხსენებლები დაწვრილებით მოგვითხრობდნენ.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ თბილისის საქალაქო მუშკორთა კრება იზიარებს დადგენილებებს მოსკოვისას და თბილისის მუშკორთა რაიონულ ბიუროებს აცხადებს გაუქმებულად. რჩება მხოლოდ საქალაქო ბიურო მუშკორთა საერთო საქმეებისათვის და რედაქციებთან არსებული ბიუროები.

„რკინის ფონდის“ შესაქმნელი ზომების გამომუშავება მიენდოს რედაქციებთან არსებულ მუშკორთა ბიუროებს.

ამის შემდეგ მომხსენებლად გამოვიდა ქალ. ტყულის მუშკორთა ბიუროების წარმომადგენელი, რომელიც მხურვალედ ესალმება თბილისის მუშკორების კრებას და გამოსთქვამს იმედს, რომ დაუღალავად და უშიშრად შეებრძოლება მუშკორთა ლეგიონი საბჭოთა და მუშათა ინტერესების მტრებს. კრებაზე დაისვა საკითხი ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშგლეხინთან, საკონტროლო კომისიასთან და პროკურატურასთან მჭიდრო კავშირის დაჭერის შესახებ. ამხ. ვიკმა და იტრიევმა (მუშგლეხინის წარმომადგენელნი) აღნიშნეს, რომ მუშკორნი დიდ დახმარებას უწევენ საკონტროლო და სასამართლო ორგანოებს ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავებაში და მათი ალმოფხვრაში. შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად საჭიროა უფრო მეტი კავშირი და ერთსულოვნება მუშკორებთან, ყველა ამ საკითხების მოსაგვარებლად არჩეულ იქნა კომისია.

კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე.

მუშკორი ათანაძე განიძე.

მოგვეცით მუშებს სინათლე

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

ლენინის რაიონის მუშებს მიეცათ საშუალება, რომ გაეყვანათ თავის ბინებზე ელექტრონის სინათლე. მაგრამ ვაი უბედურებას! ამ სინათლით მუშები ვერ სარგებლობენ იმიტომ, რომ ან სულ არ არის სინათლე და როდესაც არის უკეთესია სულაც არ იყოს, ვინაიდან იგი არ ანათებს ძლივს-ღა ბჟუტავს და ამიტომ გვიხდება ნავთიანი ლამპების ძებნა, ჟანჯვა-წვალება.

„უ-ე-ს-“ო, მოგვეცი ნამდვილი სინათლე!

მუშკორი მ. უნგიაძე.

მოგვეცით სინათლე მუშებს დაკლებულ ფასებში

ელექტრონის მომწესრიგებელი სამმართველო მტკვრის მარჯვენა მხარეს აწვდის ელექტრონის შუქს (სანთლეს 9 კაპეიკად). მარცხენას კი 7 კაპეიკად. განათების საფასური მაღალია და მცირე ხელფასიან მუშამოსამსახურეს არა აქვს შეძლება ისარგებლოს ელექტრონის შუქით. მოგვხედეთ ჩვენც ვისაც მცირედი ჯამაგირი გვაქვს, დაგვიკელით სინათლის ფასი, რომ ჩვენც შეგვეძლოს ვისარგებლოთ მისი შუქით.

მუშკორი ტაბაკიშელი.

მე-3 თამბაქოს ქარხანაში

30 დეკემბერს ლენინის სახელობის ქარხანაში გაიმართა საღამო წარმოდგენით. წარმოადგინეს შემდეგი პიესები: „ქართველი სტუდენტები“, „საცოლე ორი დღით“ და „პასუხისმგებელი მუშაკი“.

„ქართველი სტუდენტები“ სუსტად და უგერგილოთ ჩაატარეს. სამაგიეროდ ორი უკანასკნელი უფრო ცოცხლად და კარგად იყო წარმოდგენილი. აქ ყურადღებას იქცევდა ციცქიშვილის ქალი, რომელმაც ნიჭიერი შესრულებით გვიჩვენა ტიპები—როგორც მსახური ქალის, ისე პასუხისმგებელ მუშაკის მეუღლის. აღსანიშნავია შ. ბოკვერაძეც, რომელსაც მთავარი როლები ჰქონდა და კარგად ასრულებდა. დანარჩენებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

შემდეგ დაუკრეს სიმებიანი ორკესტრი და შეასრულეს სხვადასხვა სიმღერები. სხვათა შორის შესრულებული იყო „მხოლოდ შენ ერთს“ და ოპერა „ქეთო და კოტე“-დან არია „გავსწიოთ ჩქარა“.

დასასრულ ჯაფარიძის ქალმა შეასრულა რამოდენიმე აზიური ცეკვა. მან თავისი მოხდენილი თამაშით მიიპყრო ხალხის ყურადღება.

საზოგადოთ საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ხალხიც ნასიამოვნები დაიშალა.

დამსწრე ვ. ი—ელი.

იურიდიული დახმარება

(ამხ. მუშებს).

შეკითხვა:

გუდაურის შესახვევში № 5-ში მიქირავს ერთი ოთახი მიწის პირათ ნოტიო (წვიმის დროს წვეთი ჩამოდის) სივრცით 17 კვ. არშ. მაქვს სამზარეულო, ვცხოვრობთ და-ძმა. მე ვიმყოფები ძმის კმაყოფაზე. ვინაიდან მე არ მყავს დედ-მამა, არც რაიმე ცხოვრების სახსარი მაქვს. ძმა ამ ჟამად გაგზავნეს დროებით გარე-კახეთის სართიჭალის რაიონის ქალაქის უმცროს თანამშრომლად. ჯამაგირი იღებს 27 მანეთს თვეში. კითხვით მაცნობოთ, რამდენი ეკუთვნის ბინის ქირად სახლის პატრონს? აქვს თუ არა მას ნება ბინიდან გამოგვასახლოს, ვინაიდან ოთხი თვის ქირა არ გვაქვს გადახდილი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ერთ წელში ვამოიცვალა რამდენიმე სახლის პატრონი და არ ვიცოდით, ვისთვის მიგვეცა ქირა. ამ ჟამად ოჯახის მარჩენალი განთავისუფლებულ იქნა წითელ არმიიდან და მეშვეართა სიაში ირიცხებოდა; სახლის პატრონი გვთხოვს თვეში ხუთ მანეთს, როგორ უნდა მოვიქცეთ და ან სად შევიტანოთ თუ ხუთ მანეთზე ნაკლები არ აიღო.

მთხოვნელი ანნა მელაშვილი.

პასუხი:

ბინის ქირად თქვენ იხდით თვიურად რვა კაპეიკს და სამზარეულოთი სარგებლობისათვის ერთ პროცენტ დამატებით. სახლის პატრონს აქვს უფლება გამოასახლოს მდგმური მხოლოდ სასამართლოს წესით, თუ კი ის არასაპატიო მიზეზის გამო ბინის ქირას გადახდას დააგვიანებს ერთს თვეზე მეტს. თუ კი სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი ხაზინაში იუსტიციის სახ. კომისარიატის დეპოზიტში.

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ ყიფიანის ქ. № 4 (ყოფილი დარაბა № 116-მე-2 უბანი). მქირავს ერთი ოთახი სივრცით 30 კვად. არშინი ვართ ოთხი სული, არსად არა ვმსახურობ, ვარ უმუშევარი კავშირის წევრი და დაზღვეული, სადარაბო განყოფილება მახდევინებს თვეში სამ მანეთს. ოთახი საჭიროებდა კაპიტალური შეკეთება, რაზედაც დავხარჯე 15 მან. გთხოვთ განმარტებას, რამდენი უნდა ვიხადო ყოველ თვიურად. შეკეთების ფული შედის ქირაში თუ არა. ან ვარ მოვალე, რომ მეეზოვეს ვაძლიო ფული ჯამაგირის სახით თვეში ორი მანეთი.

მიწა-ტყის კავშირის წევრი: კლ. მურაკაშვილი.

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდით, ვინაიდან დარაბა გადაკეთებულია საცხოვრებელ ბინად, 1½ კაპეიკს; კაპიტალურ რემონტზე დახარჯული ფული სახლის პატრონს ბინის ქირიდან დაეკავება. მეეზოვეს ახლევებს და შრომის ხელფასს აძლევს სახლის პატრონი და არა მდგმურები.

მივმართოთ იმავე ენგელსს. თავის პატარა წიგნაკში: „გლეხთა საკითხი საფრანგეთში და გერმანიაში“ ის სწერს:

„... აშკარაა, თუ სახელმწიფო ძალაუფლება ჩვენს ხელში იქნება ჩვენ არ დავიწყებთ ფიქრს იმის შესახებ, რომ იძულებითი ექსპროპრიაციის მივმართოთ გლეხობის მიმართ (ანაზღაურებით იქნება ეს თუ უამისოთ,—ეს სულ ერთია), როგორც იძულებული ვიქნებით მოვიქცეთ მსხვილ მემამულეების მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილ გლეხობასთან დამოკიდებულებაში მდგომარეობს პირველყოვლისა იმაში, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გადავიყვანოთ ამხანაგურ საფუძველზე, **მაგრამ არა იძულებით, არამედ მაგალითის საშუალებით და ამ მიზნისათვის საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენით**. და მაშინ, რასაკვირველია, საკმაო საშუალებები გვექნება რომ მივსცეთ გლეხობას ყველა ის უპირატესობანი, რომელნიც უკვე ახლა უნდა განემარტოს მას“ *) (ხაზი ჩვენია, კ. ო.).

აქ ორი მთავარი დებულებაა მოცემული; პირველი: პროლეტარიატი არ ახდენს წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაციას, რადგან ეს უაზრობაა, ვინაიდან მათში არ არის უშუალოთ მოცემული სოციალისტური მიწათ-მოქმედების წინაპირობები. აქედან დებულება მეორე: პროლეტარიატი სცდილობს გადააქციოს კერძო წვრილი მეურნეობა ამხანაგურ მეურნეობათ, **მაგრამ არა ძალის, არამედ მაგალითის და სახელმწიფოებრივი დახმარების საშუალებით.** ჩვენ განგებ გაუსვით ხაზი ამ დებულებას, რადგან სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანელობს დღეს პროლეტარული ხელისუფლება გლეხების წვრილი მეურნეობის მიმართ საბჭოთა კავშირში. ენგელსმა გენიალური გამჭრიახობით დასახა პროლეტარული ძალაუფლების გზა გამარჯვების შემდეგ გლეხების მიმართ 1894 წ., ამ ოცდაათი წლის წინათ. მარტო ეს ერთი დებულება გარკვეულათ მიუთითებს პროლეტარიატს იმ გზაზე, რომლითაც უნდა იაროს მან რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ. ეს გზა არის იმავე დროს გლეხკაცობის გზა სოციალიზმისაკენ. პროლეტარიატის და გლეხკაცობის (იგულისხმება წვრილი, ღარიბი გლეხკაცობა) გზებში იშლებიან არა სხვადასხვა მიმართულებით, არამედ უახლოვდებიან ერთმანეთს და ერთდებიან. გლეხთა მეურნეობა აუცილებლობით შედის სოციალისტური მეურნეობის საერთო სისტემაში და თანდათან ითქვიფება მასში. ეს პროცესი უეჭველად ევოლიუციონური პროცესია, პროცესი, რომელსაც დაქსაქსული პარცელიარული მეურნეობა გადაჰყავს სოციალისტური მეურნეობის რელსებზე.

ენგელსი მეორე ადგილას კიდევ უფრო აღრმავებს თავის დებულებას. მოვიყვანოთ მეორე ადგილი იმავე წიგნაკიდან. ენგელსი ამბობს:

„...ჩვენ გადაჭრით ვდგევართ წვრილი გლეხობის მხარეზე; ჩვენ ყოველივე საშუალებას ვიხმართ, რათა მან უკეთ იცხოვროს, რომ გაუადვილოთ მას ამხანაგურ საფუძვლებზე გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოისურვებს; იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ მოახერხებს ამ გადაწყვეტილების მიღებას, ჩვენ შევეცდებით მივცეთ მას რაც შეიძლება მეტი დრო იფიქროს ამის შესახებ თავის პატარა ნაკვეთ მიწაზე. ჩვენ ასე მოვიქცევით არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებლად ვთვლით ჩვენს მხარეზე მუშა წვრილი გლეხის გადმოსვლას, არამედ ამ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ წმინდა პარტიული ინტერესებითაც. რამდენათაც მეტი იქნება იმ გლეხების რიცხვი, რომლებთაც ჩვენ საშუალებას მივცემთ არ ჩავარდენ პროლეტარის მდგომარეობაში და რომლებსაც ჩვენ ჯერ კიდევ გლეხურ მდგომარეობაში მყოფთ გადმოვიბირებთ ჩვენს მხარეზე, მით უფრო სწრაფად და ადვილად შევსძლებთ ჩვენ საზოგადოებრივი გარდაქმნის მოხდენას. უნაყოფო იქნებოდა დაგვეყოვნებია ეს გარდაქმნა იმ დრომდი, სანამ კაპიტალისტური წარმოება განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწევს, სანამ უკანასკნელი ხელოსანი და უკანასკნელი გლეხი მეიქნება მსხვილი წარმოების მსხვერპლი. მატერიალური მასალა, რომლის გაღება საჭირო გახდება ამ მხრივ გლეხობის სასარგებლოდ საზოგადოებრივ საშუალებებიდან, კაპიტალისტური ეკონომიკის თვალსაზრისით, ვინმეს წყალში გადაყრილ ფულებათ მოეჩვენება, სინამდვილეში კი **ეს იქნება კაპიტალის საუცხოვო გამოყენება, რადგან ის შეგვინარჩუნებს, შესაძლებელია, ათჯერ უფრო მეტ თანხებს საზოგადოებრივი გარდაქმნის დროს მთლიანად. ამ მნიშვნელობით, ჩვენ, მაშასადამე, შეგვიძლია ვიყოთ ძლიერ უხვი გლეხობის მიმართ.** აქ არ შევეხებით დეტალებს და არ შევუდგებით წინასწარმეტყველობას ამ მხრივ; ჩვენ ამის შესახებ ვილაპარაკოთ აქ მხოლოდ საერთოდ *) (ხაზი ჩვენია. კ. ო.)

მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ყოველი, საკითხით დაინტერესებული, მკითხველი გულდასმით გადაიკითხავს ამ ამონაწერებს ენგელსის წიგნაკიდან, ვინაიდან აქ იპოვის ის პასუხს პროლეტარული რევოლიუციის ძირითად საკითხებზე. ამ ოცდა ათი წლის წინეთ ენგელსმა მოკლეთ, აშკარათ გამოსთქვა თავისი აზრი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, აზრი, რომელიც მენშევიკების მიერ სავსებით დავიწყებულ იქნა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ენგელსის ნაწერების დასახელებულ ადგილებს დღემდე არ მიქცევია ჯეროვანი ყურადღება არც რუსულ და არც ქართულ კომუნისტურ პრესაში.

რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ სხვა ადგილების მოყვანა მარქსიზმის მამამთავრების ნაწერებიდან მათი შეხედულების განსამარტავათ დასმულ საკითხზე. მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც საკმარისია ამჟამად. ერთი აშკარაა. მარქსი და ენგელსი სულ სხვაგვარათ უყურებდენ გლეხთა საკითხს, ვიდრე მენშევიკები. მათ შორის არ არის ნათესაობის ნიშანწყალიც. ბოლშევიზმი, პირიქით, ემყარება სწორედ მარქსის ცალკე დებულებებს, რომლებიც თანამედროვეობაში მთელ მოძღვრებათ გადაიქცა. მართლაც, როდესაც კითხულობ ენგელსის ზემოთმოყვანილ ამონაწერებს, გვგონებათ, თითქოს ეს ლენინი [illegible]

გავუკეთოთ დასკვნა.

მარქსის და ენგელსისათვის უცხო არ იყო მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი. მათი აზრები ამ საკითხზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგ დებულებებში: 1) გლეხკაცობამ რეაქციონური როლი ითამაშა წარსულ ევროპის რევოლიუციებში; აქედან მარქსისტების ამოცანაა: დაპყრობა წვრილი ბურჟუაზიული (გლეხებისაც) ელემენტებისა და მათი დაყენება პროლეტარიატის რევოლიუციონური დროშის ქვეშ.

2) რევოლიუციის გამარჯვება შეუძლებელია ისე, თუ არ არის ასეთი კავშირი მუშათა კლასსა და გლეხკაცობის შორის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

3) ამ კავშირის ხელმძღვანელი უნდა იყოს პროლეტარიატი, როგორც უფრო შეკავშირებული, შეგნებული და კომპაქტიური მასსა.

4) რევოლიუციის გამარჯვების შემდეგაც პროლეტარიატი არ სწყვეტს კავშირს გლეხობასთან, რადგან მისი დაპირისპირება პროლეტარიატის წინააღმდეგ ნიადაგს მოუმზადებდა ბურჟუაზიულ რესტავრაციას.

5) პროლეტარიატი სცდილობს ყოველმხრივ გააუმჯობესოს გლეხკაცობის მეურნეობა, მაგრამ მიუთითებს მას იმაზე, რომ მისი მდგომარეობის რადიკალური შეცვლა უკეთესი მდგომარეობით შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლით. ამ გზით წასულ გლეხკაცობას პროლეტარული ხელისუფლება უწევს დიდ დახმარებას. ყოველშემთხვევაში წვრილი საკუთრების ექსპროპრიაციას პროლეტარიატი არ ატარებს. სოციალიზმის აგიტაცია სწარმოებს მაგალითის და არა ძალის საშუალებით.

ამ დებულებებში მოცემულია თითქმის თანამედროვე ლენინიზმის (მარტო ამ საკითხში) მთავარი მომენტები, მაგრამ მოცემულია ისინი მოკლეთ, ემბრიონალურად, თეორეტიულათ. ბოლშევიზმმა მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი პრაქტიკულად დასვა და რევოლიუციონური გამარჯვება მოიპოვა.

ტ. ორაგველიძე.

---

*) იხ. ენგელსის „Крестьянский вопрос во Франции и Германии“, გვ. 39,40, Изд. „Буревестник“ 1905 г. Одесса

1) იქვე გვ. 41,42.

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობისათვის

ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივ ტრიალებდა პარტუჯრედების თათბირი, იყო უპარტიო გლეხობასთან ურთიერთობა. ამ საკითხის სასურველად გადაჭრაზეა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების მომავალი განმტკიცება, მისი ეკონომიური და კულტურული დაწინაურება.

ამ მხრივ, ერთ ერთ მთავარ საკითხათ, უნდა ჩაითვალოს რელიგიის საკითხი.

სოფლის პარტ-უჯრედებმა თვალყური უნდა ადევნონ რათა სისწორით იქნას ცხოვრებაში გატარებული მთავრობის და პარტიის დადგენილებანი რელიგიის შესახებ. „აუცილებლათ უარყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ზომები რელიგიის საკითხში ეკლესიების დახურვა და სხვა, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგები მოაქვთო“ ვკითხულობთ ჩვენ რ. კ. პ. ცეკას დადგენილებაში.

ასე რომ ვაღიარებთ რა, რელიგიასთან ადმინისტრაციული საშუალებებით ბრძოლის მიუღებლობას, ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მასთან ბრძოლაზე პარტია ხელს საბოლოოთ არას შემთხვევაში არ აიღებს. მაგრამ ეს ბრძოლა უნდა წარიმართოს, გაგებული, სისტემატიური და ხანგრძლივი პროპაგანდა-აგიტაციის გზით.

ამ საქმეში უნდა დაეხმარონ ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატები. მათ უნდა გამოიჩინონ მეტი ფხა და უნარი. საჭიროა მათი მუშაობის გაღრმავება და გაფართოება. „საექიმო დარგში საქმე ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. საფერშლო პუნქტი არა გვაქვს. გლეხობა ამ მდგომარეობით შეწუხებულია, სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილება კი ვერაფერს აკეთებსო“ აცხადებს ერთერთი ამხანაგი შემოქმედის თემიდან.

ამ გარემოებას უნდა მიაქციონ ყურადღება, როგორც ჯანსახკომმა ისე ადგილობრივმა კომუჯრედებმა თუ სოფელში ექიმი და წამალი არ არის. გლეხი მკითხავს მიმართავს. ასეთ პირობებში ცრუ მორწმუნეობასთან ბრძოლა ვერ მოგვცემს სათანადო შედეგს. სოფლათ ჯანმრთელობის დაცვის საქმე აუცილებლათ უნდა ივსწოროთ

აგრეთვე უნდა, მოისპოს სოფლათ წერა-კითხვის უცოდინარობაც. „კულტურულ განათლება - განვითარების მხრივ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ხალხი ნაკლებათაა მომზადებული, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცისო“-ო ამბობს ერთი ამხანაგთაგანი თიანეთის მაზრიდან.

ჩვენი სოფლის ასეთი სურათის დროს, ქოხ-სამკითხველოების რიცხობრივი ზრდით მარტო ვერ დავკმაყოფილდებით. ადგილობრივად უჯრედებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რათა წერა-კითხვის სალიკვიდაციო კომისიებმა გააღრმავონ და გააფართოვონ თავისი მუშაობა. განათლების კომისარიატს მართებს ამ შემთხვევაში კიდევ მეტი ენერგიულობა.

ამ რიგათ, ადგილობრივი პარტუჯრედების ამოძრავებით, უმაღლესი ორგანოების სათანადო ხელმძღვანელობით, ჩვენ შევძლებთ ფართე უპარტიო მასების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას, რითაც, ცხადია, ხელს შევუწყობთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას და კულტურულ აყვავებას.

ვასო.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

უნდა ითქვას, რომ ჩვენი უჯრედი სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე და გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. კომუჯრედის თაოსნობით დაარსებულია პოლიტ-ცოდნის, მარქსიზმის, პროფმოძრაობის, ლენინიზმის „ნოტ“-ის და სხვა ჯგუფები გარდა ამისა არსებობენ „რემედას“-ის ქიმიურ თავდაცვის და ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოების უჯრედებიც. ყველა ზემოჩამოთვლილ ჯგუფებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც კომპარტიის, კომკავშირის წევრები, ისე უპარტიო მუშაკებიც.

სათანადო ყურადღება ექცევა აგრეთვე სოფლად მუშაობის საკითხს. არჩეულია საშეფო კომისია, რომელიც გასულ კვირას გაემგზავრა კახეთში თავისი საშეფო სოფლის მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამასთანავე კომუჯრედის დადგენილებით ყველა პროვინციელ ამხანაგებს ევალებათ იქონიონ ადგილობრივ პარტიის და ახკომკავშირის უჯრედებთან წერილობითი კავშირი იმ მიზნით, რომ ჩვენს უჯრედის სხდომებზე სოფლის საჭირბოროტო საკითხების გარჩევის შემდეგ გაუწიოთ მათ დახმარება და მივსცეთ სხვადასხვა დარიგებანი. ამისათვის სპეციალურად არჩეული იქნება ახლო ხანში სათანადო ბიურო, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას ამ მუშაობას.

რაც შეეხება განწყობილებას ახკომკავშირის და კომუჯრედის შორის—კარგია: ხშირად იმართება გაერთიანებული და ღია კრებები, რომლებზედაც ესწრება მრავალი უპარტიო მასა.

პარტკორი ალ. გაღ—ი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს კომუჯრედში

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის კომუჯრედის კრებამ 26 დეკემბერს მოისმინა მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ. კრება ღია იყო და მას ზოგიერთი უპარტიონიც დაესწრენ.

როგორც ადგილკომის, ამხ. იორდანიშვილის საინფორმაციო მოხსენებიდან გამოირკვა, ამჟამად სტამბაში ირიცხება 170 მუშა-მოსამსახურე; მათ შორის 147 მამაკაცი, 6 ქალი და 17 შეგირდი.

ოქტომბერში და ნოემბერში საკონფლიქტო შემფ. კომისიის სხდომა იყო სულ სამჯერ, რომელმაც გაარჩია 26 განცხადება: ამათში დაკმაყოფილებულ იქნა 12, უარი ეთქვა 14. ადგილკომის პლენუმის კრება მოხდა ორჯერ. ამ ხნის განმავლობაში სტამბაში საზოგადო კრება კი მოწვეული იყო სამჯერ, რაზედაც განხილული იქნა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები.

ადგილკომის მიერ სრულიად მოხსნილ იქნენ სამუშაოდან ორი მომუშავე. რაც შეეხება სპეცტანის ამოსს ეს ყველას ეძლევა.

ჯამაგირები მუშებს თვეში ურიგდებათ ორჯერ და ყოველ შაბათობით ავანსის სახით ჯამაგირის ერთი მეოთხედი. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ჯამაგირები მუშებს ურიგდებოდეს მუშაობისას და დროზე, რომ მუშაობის გათავებისას მათ ცდა და ლოდინი არ უხდებოდეს, რასაც ხშირათ აქვს ადგილი.

ჩვენს სტამბაში კომპარტიის წევრია 20, კომკავშირის—24, ქალები—2, დანარჩენი კი უპარტიონი არიან, მათში უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობია.

საჭიროა ჩვენმა კომუჯრედმა ხშირ-ხშირათ მოიწვიოს თავისი ღია კრებები, რომ მით აქტიურათ ჩააბათ საბჭოთა აღმშენებლობის საერთო მუშაობაში უპარტიო მასსა.

პარტკორი ყ-ნი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

გორის პედაგოგიური ინსტიტუტი

გორში ეს მეორე წელია, რაც არსებობს პედ. ტექნიკუმი. კურსი პედ. ტექნიკუმისა ოთხწლიანია. ა|წ. ივნისში მოხდება პირველი გამოშვება მეორე კურსის მსმენელებისა.

ტექნიკუმთან არსებობს ახ. ლენ. კომ. კავშირის უჯრედი, რომლის რიცხვი უდრის 20, მათ შორის 9 ქალია. მუშაობა უჯრედში დამაკმაყოფილებელია, არდადეგების შემდეგ განზრახული გვაქვა მოვაწყოთ „ლენინის კუთხე“. გვაქვს საკუთარი სამკითხველოც, სადაც ყოველდღიურად მიგვიდის გაზეთები. პედაგოგიურ საბჭოში შედის წარმომადგენლად უჯრედის წევრი. დამოკიდებულება მსმენელებსა და ლექტორებს შორის კარგია. მსმენელებს შორის 19 კომკავშირელი წევრი, რომელთაც საშუალო სასწავლებელი დამთავრებული აქვთ, მოწვეულნი არიან მობილიზაციით ქ. გორის ახ. ლენ. სამაზრო კომიტეტის მიერ იმ მიზნით, რომ მომავალი მასწავლებლობის კადრს შეადგენდნენ კომკავშირის წევრები რომელნიც გაატარებენ შრომის სკოლის ახალ პრინციპებს და სათანადოთ აღზრდიან რევოლიუციონერ ენტუზიაზმით აღჭურვილ ახალგაზრდობას. როგორც სხვა მასწავლენი, აგრეთვე, პედ. ინსტიტუტის მსმენელები ამჟამად დათხოვნილები არიან, რომელნიც სრულად აწარმოებენ ენერგიულ მუშაობას.

სოფლის უჯრედებში იკითხება სხვადასხვა თემებზე მოხსენებები სწარმოებს სოფლის უჯრედში წევრთა შორის წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაციაც.

ჯელილა ატეიშვა.

საბჭოთა სომხეთში

ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას მოგზაურობა

შირაქის არხი

თბილისიდან რკინისგზით 207 ვერსის მანძილზე მდებარეობს ქალაქი ლენინაკანი, რომელსაც წინად ალექსანდროპოლს ეძახდნენ, ქართულად კი გუმრს. ამ ქალაქის მიდამოებში კეთდება საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის ერთი საუკეთესო ძეგლი—შირაქის არხი.

საქართველოს საზღვრებშიც არის შირაქის ველები, ბევრს ალბათ სმენიათ ის ადგილები, სადაც შირაქის არხი გაივლის ჩვენი შირაქის ველების (ილონალის მაზრაში) გაგრძელება ეგონება; ნამდვილად კი ის ადგილები, რომლებიც მოირწყვება შირაქის არხით, დიდი მანძილით არის დაშორებული საქართველოს საზღვრებს.

ეს არხი გამოყვანილია მდინარე არპა-ჩაიდან, გაივლის ქალაქ ლენინაკანის ახლო და მორწყავს 15,000 დესეტინაზე მეტს. არხზე მუშაობა დაუწყიათ 1922 წლის შემოდგომაზე და როგორც ტექნიკოსები ფიქრობენ, არხის გახსნა გაზრახულია 1925 წლის პირველ მაისამდე. არხი უდგაიარობს 45 ვერსის სიგრძეზე, მაგრამ თაკიდანვე მისი სიგრძე უფრო მცირე იქნება. არხის საერთო ხარჯი აღრიცხვა ნავარაუდევია 700.000 მანეთამდე.

მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულის სიხარულა ამ წელში სომხეთის მშრომელი ხალხი შეუმატებს თავის შრომის გამარჯვების დღესასწაულს—შირაქის არხის გახსნა. ეს მართლაც დიდი და საყურადღებო ზეიმი იქნება საბჭოთა სომხეთის და მთელი ამიერ-კავკასიის.

სომხეთში ჩამოსვლისას ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაია, ცაკის წევრები: ს. ხანოიანი და ს. იაკუბოვი თბილისის პრესის წარმომადგენლებთან ერთად პირველად ყოვლისა გაეშურენ ამ არხის დასათვალიერებლად, მიუხედავად საშინელი სიცივისა და ქარიანობისა. ავტომობილები გაქანებით მიქრიან ლენინაკანის ახლო მდებარე სოფელ ორთაკილისაკენ, სადაც გამოდის არხი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, არხზე ამ დღესაც მუშაობენ ტექნიკოსები, სინჯავენ ხიდს, რომელზედაც უნდა გაიაროს წყალმა. მთავარი არხის აქეთ-იქითა მხარეს მოსჩანს ამოყრილი ქვის გორები. ნიადაგი ქვიანია, მუშაობა მეტად ძნელია. გაერთიანებულ შრომას და მეცნიერებას მაინც ყოველი სიძნელე დაუძლევია.

ეს უფრო ნათლად სჩანს არხის სათავეში, სადაც გაშენებულია პატარა სოფელი კაპსი, ისევე როგორც ზემოაქალაში, მხოლოდ უფრო მცირე მასშტაბით. აქ ბინადრობენ არხზე მომუშავე მუშა-მოსამსახურენი, რომელთა საერთო რიცხვი 270 უდრის. სოფელი კაპსი განათებულია ელექტრონით, არსებობს კოოპერატივი, კომუჯრედი, ადგილკომი. ამ სოფელში თავდება ის გვირაბი, რომელშიაც თავდაპირველად უნდა გაიაროს მდინარე არპა-ჩაიდან გამოყვანილმა წყალმა, სანამ ის არხში გადაიქანებოდეს და გამოაცოცხლებდეს უწყლობით დამშრალ ცალიერ მინდვრებს.

გვირაბის სიგრძე უდრის თითქმის 2 ნახ. ვერსს, იგი იწყება თვით მდინარის პირზე, სადაც გაკეთებულია თლილი ქვის მაგარი ჯებირები. თუმცა ძალიან შეწუხებული ვიყავით ყინვით, მაგრამ ყველა ჩქარობს გვირაბის ათვალიერებისაკენ. ავტომობილით მცირე მანძილის გავლის შემდეგ ფეხით დავექანეთ მდინარე არპაის ვიწრო ხეობისკენ. მდინარე გაყინულია. სიცივით შეწუხებულნი შევძვერით ბნელ და ქვიტკირით გამოყვანილ პატარა კოშში, რომელშიც, შაბაშის დროს ისვენებს თითო-ორიოლა მუშა. ქოხი და მთელი მისი მოწყობილობა არხაულია, აზიური, მაგრამ უმაღლესი კულტურის წყარო—ელექტრონის შუქი ამ საკოდავ ქოხში ანათებს; ქვიტკირით გამოყვანილ კედლებზე ელექტრონის ლამპაა ჩამოკიდებული. მივდივართ ჯებირებისკენ. ვადგევართ გაყინულ მდინარეზე. ჯებირებზე ასვლისას მედიდურათ გადავყურებთ. შებოჭილ, დამორჩილებულ მდინარეს, რომელიც აქიდან გაზაფხულზე ქვესკნელში, გვირაბში უნდა გაექანოს, რომ იქიდან გამოსვლისას უხვად მორწყოს, ამწვანოს და ააყვაოს უსიცოცხლო ველები. თუმცა ამხ. მიხა უარს ამბობს, მაგრამ ტექნიკოსები მას მაინც აჯენენ „ვაგონეტკაზე“, რომელიც დიდი ხმაურობით და ტკაცატკუცით მიექანება ქვესკნელში.

— „ამხ. მიხანიკოვს დავპირდით, რომ ზაფხულზე ნავებით ვასეირნოთ გვირაბში“—ამბობს მუშაობის ერთი ხელმძღვანელთაგანი. მართლაც, რომ სასიამოვნო იქნება ნავებით მიწის ქვეშ მოგზაურობა.

გვირაბში ბევრგან სწვიმს, ტალახი სდგას, ბევრგან კი სრული სიმშრალეა და მშვენიერი სავალი გზაა. თბილა, თუმცა ზევით დედამიწის პირზე საშინელი ყინვაა. გვირაბში მხოლოდ ცოტაოდენი სამუშაოა დარჩენილი.

გამოვედით დედამიწის პირზე, გაღამებულა. გავექანეთ სოფელ კაპსისაკენ, სადაც სცხოვრობს არხის ადმინისტრაცია და მუშები. შევიარეთ, გაუზიარეთ ერთმანეთს ნაშრომ-ნააზრევი, მიღებული შთაბეჭდილებანი. ყველა აღტაცებულია, ყველას სწამს, რომ შრომა და მეცადინეობა გაიმარჯვებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება გაანაყოფიერებს ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის უსაზღვრო მინდორ-ველებს. აქვე ალბომში ვკითხულობთ ამ ადგილების მნახველთა შთაბეჭდილებებს. ამხ. მ. ცხაკაიასაც სთხოვენ თავისი აქ ყოფნა აღნიშნოს წიგნაკში. ისიც ასრულებს თხოვნას.

შემდეგ მხურვალეთ ესალმება ყველა მუშა-მოსამსახურეებს და მიეშურება ლენინაკანისკენ, სადაც მას თეატრში უცდიან საზეიმო სხდომაზე შეკრებილი მუშა-მოსამსახურენი.

ა. ბუაჩიძე.

თბილისი დიდი ყინვების დღეებში

27 დეკემბრიდან თბილისში დაიჭირა საშინელი ყინვები. ყინვა თანდათან მატულობდა და იყო ღამეები, როცა სიცივე დაეცა 16—17 გრადუსამდე ნულს ქვევით.

ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა ასეთ ამინდს მოუმზადებელი შეხვდა, რადგან ასეთ ყინვებს არავინ მოელოდა. ბევრი არ ყოფილა საზამთროდ მომარაგებული. სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებები, რომელიც სათბობი მასალით ვაჭრობას აწარმოებენ, ვერ ადიოდენ მოთხოვნილებას.

ამ გარემოებით ისარგებლეს იმ კაპრებმა, რომელთაც შეშა ჰქონდათ მომარაგებული და საზღაპროდ ასწიეს შეშის ფასი. უხვად შემოვიდა შეშა ახლო-მახლო ხანში სოფლებიდან. მაგრამ ფასმა მაინც არ დაიკლო.

მეტად დაბალ ტემპერატურის გამო უმრავლეს სახლებში გაიყინა წყალსადენის მილები. უწყლობის გამო მოსახლეები განიცდიან გაჭირვებას. იმ ადგილებსა და სახლებში, სადაც წყლის დენა არ შეწყვეტილა, გაჩნდა რიგები. ქალაქის ზოგიერთ უბნებში შემჩნეულ იქნენ პირები, რომელნიც წყლით ვაჭრობდნენ. ადმინისტრაციამ მათ წინააღმდეგ მიიღო ზომები.

უკანასკნელ დღეებში თუმცა დათბა, მაგრამ წყლის მილები ჯერ კიდევ გაყინულია. მიღებულია ზომები ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად.

სანოვაგის ფასს არ უმატნია, რადგან ქალაქი სანოვაგის მხრივ უზრუნველყოფილი იყო.

დიდია მოთხოვნილება აგრეთვე ბამბეული ტანსაცმელის, რომელიც უკვე მიღებულია თბილისში საკმაო რაოდენობით.

ტემპერატურის ასეთმა დიდმა დაწევამ გამოიწვია ხშირი დაავადმყოფება ინფლუენციით, და ანთებით დაავადმყოფებულთა შორის სჭარბობენ ბავშვები. ყინვის გარდა თბილისს ეწვია აგრეთვე პატარა თოვლი.

ამჟამად თბილისში ყინვები აღარ არის და თბილი ამინდია.

მეცნიერება და ტექნიკა

მანქანა, რომელიც 5.400,000 კაცის სამუშაოს ასრულებს

ამერიკის საყოველთაო ელექტრონის კომპანიამ ამ რამდენიმე ხნის წინათ ილინოისის მძლავრი ელექტრო-სადგურისათვის დაამზადა უზარმაზარი გენერატორი, რომელსაც 24 საათის განუწყვეტელი მუშაობის განმავლობაში შეუძლია შეასრულოს იმდენი სამუშაო, რამდენსაც შეასრულებენ შეერთებულ შტატებში მცხოვრები ყველა ზანგები ერთად.



მისი სიმძლავრე უდრის 80.000 ცხენის ძალას.

ამ გენერატორის ენერგიის შესადარებლათ ადამიანის ენერგიასთან, შეგვიძლია ვისარგებლოთ შემდეგი გამოანგარიშებით:

თითოეული ცხენის ძალა უდრის 22 ნახევარი კაცის ძალას. ამრიგათ 80 000 ცხენის ძალა უდრის 1,800,000 კაცის მუშაობას მაგრამ კაცს არ შეუძლია განუწყვეტლივ 24 საათის განმავლობაში მუშაობა, ტურბინას კი შეუძლია განუწყვეტლივ 24 საათს მუშაობა, ამიტომ მას 24 საათის განმავლობაში შეუძლია შეასრულოს 5.400.000 კაცის სამუშაო.

წყნარი ოკეანეს საიდუმლოებანი

უკვე რამდენიმე ასეული წელია, რაც მრავალრიცხოვანი გემები ჰკვეთენ წყნარი ოკეანეს უსაზღვრო სივრცეს. რაც განსაკუთრებით აკვირვებს მეზღვაურებს, ეს ზოგიერთი კუნძულები, რომლებიც ხან გამოჩნდებიან ხან გაქრებიან მეზღვაურების თვალწინ.

მეტად საინტერესო ცნობები შეკრიბა ამ ხრივ ნ. დონსამა „ტენერ“ რომელიც შეერთებული შტატების მთავრობამ გაგზავნა ორი ჰიდროპლანის თანხლებით წყნარი ოკეანეს რუკის შესამოწმებლად.

უკვე მოგზაურობის დაწყების წინ „ტანჯერიდან“ შენიშნეს პატარა კუნძული საოცარი მცენარეულობით და ფრინველებით. ეს კუნძული არც ერთ რუკაზე აღნიშნული არ იყო.

ჯერ კიდევ 1786 წ. გემმა „ლა-პერუზ“ შენიშნა ფრინველეთის კუნძულებს ახლო 12 პატარა კუნძული. მაგრამ ამ კუნძულების რიცხვი ხან მცირდებოდა 5-დე, ხან კი იზრდებოდა 16-დე.

1805 წ. კაპიტანი ლისიანსკი თავისი გემით „ნევათი“ დაეჯახა პატარა კუნძულს, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. ეს კუნძული შეიტანეს რუკაზე, მაგრამ ოთხმოცი წლის შემდეგ ამ კუნძულმა ადგილმდებარეობა გამოიცვალა და მეზღვაურები მის შესახებ ამბობენ: „ადგილმდებარეობა გამოურკვეველი არისო“.

ორი კუნძული „ნიტროდ“ „დოგერტი“ ისე ჩქარა იცვლიან თავის ადგილმდებარეობას, რომ მათ სახელწოდებასთან რუკაზე დასმულია „?“.

მეტად საინტერესოა კუნძულ „ნი-შიმა“-ს წარმოშობა. მთელი ორი კვირის განმავლობაში ისმოდა რაღაც უცნაური გუგუნი, ზღვაზე გაჩნდა კვამლი და ორთქლი, ღამით სჩანდა ალი და ბოლოს, როცა ყველაფერი ეს შესწყდა, გამოჩნდა სამი კუნძული. ერთი მათგანი, ნი-შიმა ამართული იყო 480 ფუტის სიმაღლეზე ოკეანეს ზედაპირიდან ეს მოხდა 900 ვერსის მანძილზე იაპონიიდან 19[illegible] წ. ათი დღის შემდეგ კუნძულზე გადმოსხდა 10 იაპონელი და მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის ნიადაგი გავარვარებული იყო, აღმართეს ნიშიმაზე იაპონიის დროშა.

განათლების ფრონტზე

სკოლების ზრდის შესახებ.

ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტით სკოლების ბუნებრივად ზრდის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა სკოლების რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა, რამაც გამოიწვია მოულოდნელი ხარჯები და მასწავლებელთა დავალიანება, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სკოლების ბუნებრივათ ზრდით გამოწვეული ხარჯების დასაფარავათ საჭირო თანხა გამოითხოვოს უმაღლეს ორგანოებიდან.

დარჩენილი თანხები.

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები რათა ადგილობრივმა აღმასკომებმა მასწავლებელთა ხელფასიდან დარჩენილი თანხები გადმოგზავნონ დაუყოვნებლივ.

განათლების განყოფილებების შესახებ.

ვინაიდან განათლების განყოფილებათა ადგილობრივ ხელისუფლებისათვის უშუალო დამორჩილებით ფერხდება სასწავლო საქმეები ადგილებზე, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა საქ. კომ. საბჭოს წინაშე განათლების განყოფილებების ადგილობრივ ხელისუფლებებიდან გამოცალკევებისა და მათი განათლების კომისარიატისთვის უშუალოდ დაქვემდებარების შესახებ.

საგანმანათლებლო მუშაობისათვის.

განათლების კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით წელს საკულტგანმანათლებლო საქმებისათვის გადადებული იქნება 80 ათასი მან.

ქრონიკა

ქიმიის მეგობართა საზოგადოებაში

ქიმიის მეგობართა საზოგადოების საბჭოს 8 იანვრის სხდომაზე დადგენილია პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი გადიდებულ იქნეს ცხრამდის და გამოჰყონ აგრეთვე თავმჯდომარის ერთი მოადგილე.

საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ელენტის გამგზავრების გამო, საბჭოს ახალ თავმჯდომარეთ არჩეულია მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი. სამეცნიერო-ტექნიკურ სექციის თავმჯდომარეთ კი—დამსახურებული პროფესორი—ამხ. მელიქიშვილი. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ არჩეულია ჯარების უფროსი ამხ. პუგაჩოვი.

სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო სამეურნეო და საწარმოვო სექციები გაერთიანებული არიან ერთ სექციათ.

უკანასკნელ თვე-ნახევრის განმავლობაში თვით მუშაობას ჰქონდა ორგანიზაციული ხასიათი.

ქიმიის მეგობართა საზოგადოებას ჰყავს 10.000 წევრზე მეტი.

უკანასკნელი ყინვების შესახებ

საქართველოს ობსერვატორია იუწყება შემდეგს: 1 და 2 იანვარს სკანდინავიის ნახევარ კუნძულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაიწყო სვლა ფართო ციკლონმა.

თითქმის მთელ კავკასიაში იწყო ტემპერატურამ აწევა. ეს აწევა გრძელდება 7 იანვრამდის. მაგალითად, დილის ტემპერატურამ დღე და ღამის განმავლობაში აიწია 5 იანვარს სოხუმში 2 გრადუსით, ფოთში 3 გრ., ტფილისში 15 გრ., პეტროვსკში 17 გრ., ბაქოში 2 გრ., 6 იანვარს სოხუმში და ფოთში 4 გრ., სამტრედიაში 3 გრ., ბორჯომში 7 გ., სურამში 4 გრ. 7 იანვარს სოხუმში 2 გრ., ფოთში და ტფილისში 3 გრ., ტყიბულში 9 გრ., ბაქოში 1 გრ., ლენქორანში 4 გრ., სალიანში 5 გრ. და სხვა.

ციციანთ აღმართის გაწმენდა ყინულისაგან.

გუშინ პირველი რაიონის ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ დამთავრდა ციციანთ აღმართის გაწმენდა ყინულისაგან. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, წითელმა ცეცხლისმქრობელებმა მაინც მოახერხეს უშველებელი ყინულების ჩამოხვრა, რაც ემუქრებოდა ტრამვაის მოძრაობას და გამვლელ-გამომვლელს. ოთხი საათის განმავლობაში მუშაობდნენ რაზმელები და ჩამოყარეს 1000 ფუთზე მეტი ყინული. ეს მუშაობა არ დამთავრდა სრულიად უმსხვერპლოდ; ერთი რაზმელი დაშავდა თავში და მხარში. დაშავებული გაისტუმრეს საავადმყოფოში.

სასჯელის ვადის შემოკლება

სრულიად საქართველოს ცაკის დადგენილებით № 130 დეკემბ. 31 თარიღით სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლის შენიშვნა შეცვლილია ამნაირად: „იმ პირს, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს ფიზიკური მუშაობით იხდის, როგორიც არის: მძიმე ტვირთის ზიდვა, ხე-ტყის მოჭრა, მიწის მუშაობა, ღამე მუშაობა და სხვ., ადგილობრივი გამასწორებელ სახლის კოლეგიის წარდგენისამებრ მოხდილი მუშაობის ყოველი ორი დღე, ცენტრალური გამანაწილებელი კომისიის დადგენილებით, შეიძლება სამ დღეთ ჩაეთვალოს".

ლოტო

საქ. სახ. კომ. საბჭომ ნება დართო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს გახსნას ლოტოთი სათამაშოები.

აგრო-დახმარება

სათესლე-საჩვენებელი მინდვრებისა და აგრო-ქსელის გასაფართოებლათ ქ. აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ გადასდო მიმდინარე წლისათვის 35,150 მან.

ექიმების გაგზავნა სვანეთში.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა სვანეთში უკვე გაგზავნა ქირურგი, ტერაპევტი, კბილის ექიმი, და ერთი ფარმაცევტი.

— **ერთიანი საკავშირო დროზე.** საქ. სახ. კომ. საბჭომ იუსტიციის სახ. კომისარიატს დაავალა წარმოადგინოს თავის მოსაზრებანი საქართველოში ერთიანი საკავშირო დროის შემოღების შესახებ.

— **ადგილობრივი ბიუჯეტები.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტი 24—25 საანგარიშო წელს.

— **პროფტექნიკურ განათლების** მდგომარეობის გამოსარკვევათ საქ. სახ. კომისართა საბჭომ შეადგინა სპეციალური კომისია.

— **საქველმოქმედო მარკები.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ გამოჰყო ცალკე კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს საკითხი სხვა და სხვა დაწესებულებათა მიერ საკუთარ საშუალებათა გაძლიერების მიზნით საქველმოქმედო მარკების გამოშვების შესახებ.

— **რევოლიუციის ბელადების სურათების გავრცელება.** საქ. ცაკმა გადასწყვიტა ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა დამხმარე საზოგადოებას გადასცეს მონოპოლიის უფლება რევოლიუციის ბელადების სურათების გავრცელების საქმეში.

— **ტყიბულის მუშებისათვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა შრომის სახ. კომისარიატს და უმაღ. სამეურნეო საბჭოს დაჩქარებით მოწესრიგონ ტყიბულის მაღაროებთან არსებულ მუშათა საავადმყოფოების შენახვის საკითხი.

— **სანავთსადგურო გადასახადი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას გადასცეს სანავთსადგურო გადასახადიდან აკრეფილ თანხის 25 პროც.

— **მევენახეობის აღსადგენად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქ. გეგმათა სამმართველოს დაჩქარებით განიხილოს კახეთის მევენახეობის აღდგენის საკითხი.

— **უპატრონო ბავშვთა შესანახათ.** ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ საქართველოში უპატრონო ბავშვთა შესანახათ გადასდო 50,000 მან.

— **ცხენთა საჯიშოები.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ საქ. გეგმათა სამმართველოს გადასცა განსახილველათ სახელმწიფო ცხენთა საჯიშოების საჯინიბოთა შეკეთების საკითხი.

— **საგარაკო ტყეები.** საქ. მ.-გ. ინსპექციამ გეგმათა ინსპექციას დაავალა გამოიკვლიოს საგარაკო ტყეებით გლეხების მიერ სარგებლობის საკითხი.

— **კედლის გაზეთების გამოფენა.** ახლო ხანში წითელარმიელთა კლუბში მოეწყობა ნაწილების კედლის გაზეთების გამოფენა.

— **ლენინის კუთხე.** განზრახულია წითელარმიელთა კლუბში მოეწყოს სამაგალითო ლენინის კუთხე ჯარის საბიბლიოთეკო და საკლუბო მუშაკთა სავარჯიშოთ.

— **კოოპერაციის მდგომარეობა.** 16 იანვარს ტფილისში ა/კ. უმ. ეკ. საბჭო იწვევს განსაკუთრებულ თათბირს კოოპერაციის მდგომარეობის და შინავაჭრობის საქმის გამოსარკვევათ.

— **კურორტ შოვის სამშენებლო ფონდის** გასაძლიერებლათ წარმოკავშირმა გადასდო 1000 მან.

— **სრ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელთა ყრილობა** შესდგება იანვრის ბოლო რიცხვებში თბილისში.

— **ტრამვაის დირექციამ** ჩეხოსლოვაკიიდან უკვე მიიღო ტრამვაისათვის საჭირო ართახები (ბანდაჟი). რომელიც ბათომიდან ამ დღეებში გამოგზავნილი იქნება ტფილისში.

— **რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოსათვის** ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი უკანასკნელ გამორკვევით უდრის 15,000 მან.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** 9 იანვრიდან განათლების მუშაკთა სახლში განახლდა მეცადინეობა, რომელიც შეწყდა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის გამო.

— **პირველი საფეხურის სკოლებისათვის** ქალაქში და მაზრებში ქ. აღმასკომმა გადასდო 304,512 მან. აქედან მაზრის სკოლებისათვის 170,162 მან. და ქალაქისათვის—224,350 მ.

— **საექიმო დახმარება მაზრაში.** მაზრებში არსებულ საავადმყოფოების წამლეულობით და შესახვევი მასალით მოსამარაგებლათ მიმდინარე წლისათვის გადადებულია 13,570 მ.

— **ტრამვაის დირექციამ** გადასწყვიტა შეიძინოს 100 კილო ელექტრონის საიზოლიაციო ხოპარი.

შემთხვევები

თავდასხმა

გუშინ საღამოს ჩვენ მივიღეთ ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. ბახი-ვანში (დუშეთის მაზრა) 13 ბანდიტი თავს დაესხა კასპარ ასლანოვის სახლს. მათ მოჰკლეს თითონ ასლანოვი, ხოლო მძიმეთ დაჭრეს მისი ცოლი რის შემდეგ გაიტაცეს 12 [illegible] საქონელი, სამინაო ნივთები და მიიმალნენ.

ბაბა აბდულ ოღლის დატუსაღება

გუშინ, საღამოს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დაატუსაღეს ბანდიტების ცნობილი ხელმძღვანელი ბაბა აბდულ ოღლი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდნენ. მას მთელი რიგი თავდასხმისა და მკვლელობა აქვს ჩადენილი.

— **კომკავშირელის მოკვლა.** რამდენიმე დღის წინეთ დუშეთის გზატკეცილზე სოფელ კოპორტიდან 15 ვერსის დაშორებით ნახულ იქნა სოფელ კოპორტის მცხოვრების, კომკავშირელ ა. ზაქარაიას გვამი.

კვლევა-ძიებამ გამოარკვია შემდეგი: ა. ზაქარაიას, რომელიც მიემართებოდა თავის სოფლისაკენ, დაეწია გზაში თვით შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც სასიკვდილოთ დაჭრეს იგი. გამოირკვა ისიც, რომ ზაქარაიას მკვლელობა მოსალოდნელი იყო სისხლის აღების ნიადაგზე, რადგან მას 1923 წ. მოუკლავს ლაშქარაშვილის ბანდის ერთი წევრი.

— **ყაჩაღის შეპყრობა.** ყაჩაღებთან გამართულ სროლის დროს მილიციის თანამშრომლებმა შეიპყრეს ყაჩაღი ჰუსეინ ალი-ალესკარ ოღლი, რომელსაც მაზრაში არა ერთი ყაჩაღური თავდასხმა მოუხდენია. მილიციასთან წინააღმდეგობის დროს ყაჩაღმა სცადა გაქცევა, მაგრამ დაჭრილ იქნა ზურგსა და ფეხში.

— **ყაჩაღური თავდასხმა.** ერთი კვირის წინეთ შეიარაღებული ყაჩაღები თავს დაესხნენ სოფელ [illegible] (ლენინაკანის ახლოს) მცხოვრებთ: ყაჩაღებმა გაიტაცეს 9 ხარი, რომელიც გლეხებს წაართვეს.

— **დაჭრა.** 8 იანვარს, ვორონცოვის ქ. № 9 მოქალაქე ბეჟანოვმა ხანჯლით დაჭრა აკოფა ხაიატუროვი. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— **ქურდობა.** 8 იანვარს სამღებრო ქ. № 6. დღით იოსებ რეხვიას ბინიდან მოიპარეს გადაფენილი სარეცხი, სულ 50 მან.

— ამავე დღეს საღამოს 5 საათზე ბებუთოვის ქ. № 25, გაქურდეს იაკობ საინოვის ბინა. წაღებულია 50 მან. ნივთები.

— მორგებული გასაღების საშუალებით ამავე დღეს ფუთაიძის აღმართი № 6. მოქ. [illegible] ალექსი ასული ბელღოიანის ბინიდან მოიპარეს 80 მან. ნივთები.

— ამავე დღეს კაბინის ქ. № 2, საღამოს 5 საათზე გაქურდეს ვერა ბეგნიაშვილის ბინა. წაიღეს 220 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციის მიერ შეპყრობილი იქნენ სამი უბინაო რუსი, რომელთაც ბრალდებათ ექიმ მესხაძის ბინიდან (მოსკოვის ქ. № 19) 100. მან. ნივთების მოპარვა.

— **უბედური შემთხვევა.** 8 იანვარს დილის 10 საათზე აგურის ქარხანაში, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა მიწის თხრის დროს მუშა აკოფა გრიგორიანცი მოყვა ჩამოზვავებულ მიწის ქვეშ. სასიკვდილოთ დაშავებული გრიგორიანცი გადაიზავნა საავადმყოფოში.

— **ქურდი ქალის შეპყრობა.** 9 იანვარს მელიქის ქ. № 54 დილის 6 საათზე აპოლონ მარშანიას ბინაზე შეიპყრეს ქურდი ქალი მარეტიანი გალენკო, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— **ქურდი მოსამსახურე.** 8 იანვარს დღით ფოთის ქ. № 20 გაქურდული იქნა ნიკოლოზ თევდორაძის ბინა მისივე მოსამსახურე პელაგია გამბაროვას მიერ. წაღებულია სულ 600 მან. ძვირფასი სხვადასხვა ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ქურდის ნაცნობი იმავე ქუჩაზე მოქ. პოკოვსკაია. ქურდი მიმალულია.

— **ბატის ქურდები.** 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე საგურამოს ქ. № 17 მოქ. ოლღა კვესელავას ეზოდან მოჰპარეს ბატი. მიღებული ზომებით დაპატიმრებული იქნენ ბატის ქურდები: ილია თევზაძე, ივანე კუკოვი და შურა კობალაძე.

წერილები პროვინციიდან

ჩვენი კორესპონდენტის ცნობა დადასტურდა

მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან

გაზეთ „კომუნისტის" № 285-ში მოთავსებული იყო შენიშვნა: „სამტრედიის სამკითხველო", რომელიც შეეხებოდა ამ სამკითხველოში არსებულ უწესრიგობას. სამტრედიის რაიონული აღმასკომი ატყობინებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ ხსენებულ შენიშვნაში მოყვანილი ფაქტები მოხდენილ კვლევა-ძიებით დადასტურებულია და მიღებულია ზომები ასეთის აღმოსაფხვრელად.

საქ. მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარი ა. დოლიძე.

სიმინდის შესყიდვის საქმე სენაკის მაზრაში

სენაკის მაზრა მეურნეობის მაზრაა. მცხოვრებთა 92 პროც. მაინც მისდევს სიმინდის მოყვანას. თუ სიმინდის ფასი ნაკლებია, გლეხის მეურნეობაც იმ წელს დაცემულია.

მიეცით ბაზარი გლეხის სიმინდს და თქვენ უმტკივნეულოდ შესძლებთ თავის დროზე გაატაროთ გლეხობაში ყოველი ღონისძიებანი.

სამწუხაროდ ვერ მივეცით ბაზარი ვერც წელს ჩვენი გლეხობის ნაწარმოებს, მაგრამ სიმინდის დამზადების საქმე რომ წელს შარშანდელზე უკეთ არის დაყენებული—ეს ცხადზე უცხადესია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გლეხს ხელადვე აძლევენ სიმინდის საფასურს. თუ კი განვიხილავთ სიმინდის ფასს, აქ ცოტა უკან წაწეული ვართ. ფუთი სიმინდის ფასი 75 კ. მცირეა და ამას ამბობს დღეს გლეხი. ოთხი არშინი ნაჭრა როგორ არ მიყიდოს ერთ ფუთ სიმინდმა—ამბობს ყოველგან და ყოველთვის გლეხი. ეს მართალიც არის. მივიღოთ ზომები, რომ ამას მაინც მივაღწიოთ.

სენაკის მაზრაში წელს სიმინდის დამზადების საქმე ხელში აღებული აქვს კოოპერატივს. სათანადო თანხა მიღებული აქვს როგორც სენაკის ისე აბაშის მთლიან კოოპერატივებს. სამწუხაროდ ჯერ სიმინდის შესყიდვა არ არის მოწყობილი სალხინოსა და მარტვილის რაიონში.

4 იანვარს სალხინოს კოოპერატივის გამგემ მითხრა: ჯერ ფული არ მიგვიღია და რას დავიწყებდითო. სამწუხაროა ეს, რადგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში სიმინდის ნაღდზე შესყიდვა დიდ როლს ითამაშებდა.

ამ ორ რაიონს უნდა მიექცეს საჩქარო ყურადღება.

არ შემიძლია არ ავღნიშნო აგრეთვე თვით სიმინდის მიღების მოწყობა. არ არის ეს მოწესრიგებული. სძულს ჩვენს გლეხს „ოჩერედი". სენაკის მთლ. მოხმ. კოოპერატივის სიმინდის მიმღებ საწყობში რომ მიხვიდეთ, დაინახავთ გრძელ-გრძელ კუდებს რიგში ჩამდგარ ურმიან გლეხობის, რომელნიც სიმინდის მიღებას უცდიან.

ეს ბადებს უკმაყოფილებას. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ გლეხს დიდი ხნის ცდა არ უხდებოდეს.

საჭიროა სამ-ოთხ ალაგას მოეწყოს მისაღები პუნქტები. ეს უეჭველად უნდა გაკეთდეს. კოოპერატივების გარდა სიმინდს აქა-იქ კერძო ვაჭრებიც ამზადებენ. ბაზარზე სიმინდი დღეს ოთხი აბაზი ღირს და ფქვილი კი ექვსი აბაზი ფასობს.

ბ. უჩანეიშვილი.

ხიდს აღდგენა უნდა

(გურია)

შემოდგომის ნიაღვარმა სრულიად გაანადგურა აღმოსავლეთ გურიის შემაერთებელი ბოგაზოულის წყლის ხიდი. მგზავრები საშინელ გაჭირვებას განიცდიან უხიდობის გამო. დღემდე მას ყურადღება არ მიქცევია.

საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამას, ვისაც შეეხება.

ა. უჯმაჯურიძე.

კინჩხის თემის ავ-კარგი

(ქუთაისის მაზრა)

უწინ ეს თემი კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს თემი იღვიძებს და ყოველმხრივ წინ მიდის. დაარსდა ერთი შვიდ-წლიანი და ორი ოთხწლიანი შრომის სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კოოპერატივი და სხვა. ამ დღეებში, როგორც სხვაგან აქაც დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება და ხუთი ლიკ.-სკოლა. ჩაწერილია 400-მდე წერა-კითხვის უცოდინარი და სულ მოკლე ხანში მეცადინეობას შეუდგებიან.

სიშორის და ხეირიანი გზების უქონლობის გამო, უწინ აქაურ გლეხებს არ შეეძლოთ ადვილად ჩაეტანათ ხონში ბაზარზე თავიანთი ნაწარმოები და გაეყიდათ. ამისთვის ჩარჩები ადგილობრივად სტყუებდნენ ხალხს ყველაფერს ჩალის ფასად. მას შემდეგ კი, რაც აქ კოოპერატივი დაარსდა, ჩარჩები და სპეკულიანტები გაქრნენ, გლეხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ადგილობრივად სცვლიან ან ჰყიდიან თავიანთ ნაწარმოებთ ყოველ-გვარ პირველ მოთხოვნილების საგნებზე. უნდა აღინიშნოს კი, რომ საწევრო გადასახადი ბევრს არა აქვს შეტანილი კოოპერატივში, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

კინჩხა-გორდის თემებში ირიცხება 1200-დე კომლი და ასეთ მრავალრიცხოვან თემებს ერთი ექიმიც არა ჰყავთ. ამით ხალხი დიდს გაჭირვებას განიცდის ყოველ მოთხოვნილების დროს—ექიმისთვის—ხონში 25 ვერსზე წასვლა, ცხენის დაქირავება და 20—25 მან. მიცემა ექიმისათვის, ხელმოკლე გლეხისთვის შეუძლებელია. ამ ორ თემს ადვილად შეუძლია ერთი ექიმის დაქირავება.

მთლიანი შრომის სკოლის შენობა აქ ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მოწაფეები კი სამეცადინოთ შიგაა მოთავსებული. მოუთავებელ ბინაში, სადაც მუშაობის გამო საშინელი რახა-რუხი და ხმაურობა, ნორმალურ მეცადინეობაზე ზედმეტია ფიქრი. ამ სკოლისათვის მთავრობამ და ხალხმა, გარდა მუშაობისა, საკმაო თანხა გაიღო. მართალია იგი აწი მალე დამთავრდება, მაგრამ მისი მოწყობა აქამდე მაინც არ უნდა გაჭიანურებულიყო ..

როგორც მთაგორიან ადგილში, კინჩხაში, ღრმა-თოვლიანი და დიდ ყინვებიანი ზამთრები ხშირი მოვლენაა. 1896 და 1911 წ. წ. აქ დიდი ზამთრები იყო. თოვლის ზვავებმა ბევრი ადამიანი და საქონელი იმსხვერპლა. ჯერ აქ ორი არშინი თოვლი დასდო, მაგრამ ქარიშხალი კი არაჩვეულებრივი იყო. ყინვებიც იყო 10—11 გრადუსამდე. ცუდი ამინდის გამო სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. ეხლა ამინდი ცოტათი მოგვარიანდა.

მეთვალყურე.

შეფი გვეხმარება

ს. დილიკაური (შორ. მაზრა)

ამ სოფლის სკოლის შენობის დამთავრება იკისრა ზესტაფონის მევენახეთა საზოგადოებამ „იმერეთმა". უკანასკნელის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. მღვდლაძემ დიდი ანგარიში გაუწია დილიკაურის სკოლის შენობის დიდი ხნობით დაუმთავრებლობას. მიიღო მხედველობაში ადგილობრივი გლეხობის სიღარიბე და უმწეო მდგომარეობა და მომავალ ახალგაზრდობის გაჭირვება მეცადინეობის დროს და მრავალი მოწაფეთა სკოლის გარეთ დარჩენა შენობის სივიწროვის გამო. შეფმა სკოლის [illegible] გადასდო [illegible] თანხა შენობის [illegible] ყოფილებს და შემდეგშიაც ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხობა დიდ იმედს გამოსთქვამს, რომ ამხ. მღვდლაძე არ დაივიწყებს დილიკაურისა [illegible] სკოლის შენობას. ჩვენ დილიკაურის გლეხობა უზომო მადლობას ვსწირავთ ჩვენ შეფს და მის ხელმძღვანელს ამხ. გ. მღვდლაძეს.

ამბროსი სალაძე.

სოფელი ნატახტარი

(დუშეთის მაზრა)

1925 წ. 1 იანვარს სოფელ ნატახტრის სკოლის მოწაფეებმა გაიმართეს დიდი საღამო. სკოლის შენობა და ოთახი მორთული იყო სხვადასხვა ყვავილებით და ფერადი ქაღალდებისაგან გაკეთებული ჯინჯილებით. ოთახის მარჯვენა მხარეს ამშვენებდა ძვირფას მასწავლებელ და ბელად ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ ლენინის პორტრეტი. წარმოდგენის დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა ამავე სოფლის სკოლის გამგე დ. გედევანიშვილმა „თეატრის და სკოლის მნიშვნელობაზე". შემდეგ მოწაფეთა გუნდმა შეასრულა „ინტერნაციონალი", მას მოყვა რამოდენიმე ხალხური სიმღერები. სიმღერების შემდეგ დაიწყეს მოწაფეებმა ლექსების და იგავების წარმოთქმა. წარმოდგენილი იქნა „ექიმის ფული". დ. გედევანიშვილმა წაიკითხა სომხური სცენები. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

ა. ლ.

თერჯოლის თემი

თერჯოლის თემში შედის ექვსი სოფელი: თერჯოლა, სიქთარუა, ტელეფა, რუფოთი, ლვანკითი და მეწუხარულა. მენშევიკურ-ბანდიტურ გამოსვლების დროს თემში სულ გაუოხრებიათ ყველაფერი: კანცელარიაში დაუმტვრევიათ ფანჯრები და კარები, ფოსტა-ტელეგრაფის კასა გაუტეხიათ, ქოხ-სამკითხველოში ბელადების სურათები დაუხევიათ და წიგნები დაწეწილ-დახეული გადაუყრიათ. დღეს მენშევიკ-ბანდიტების წყალობით ყველაფერი უნუგეშო მდგომარეობაშია.

დღესაც წყევლა-კრულვით იხსენიებს თერჯოლის მშრომელი გლეხობა მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლებს.

თერჯოლის თემში 2700 კომლი მოსახლეა.

აღრიცხვაზე აყვანილია 300 დე წერა-კითხვის უცოდინარნი მამაკაცი და დედაკაცი 18—40 წლამდის. თემში შემდგარია წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო კომისია. ჯერ-ჯერობით ოთხ ადგილასაა გახსნილი სალიკვიდაციო სკოლა, მეცადინეობს დაახლოვებით 120 კაცი; დაბოლოს მსმენელებს უფასოდ ურიგდებათ: წიგნები, რვეულები და ფანქრები.

არსებობს ქოხ-სამკითხველო, სადაც გაზეთები: „კომუნისტი", მუშა", და „მიწის მუშა" მოდის მხოლოდ კვირაში ორჯერ. ქოხ-სამკითხველო ძლიერ ღარიბია წიგნებით.

სასწავლებლის შენობები საჭიროებს შეკეთებას, ფანჯრები ჩამტვრეულია, გათბობის მხრივაც არ არის უზრუნველყოფილი. ბავშვებს და მასწავლებლებს სიცივეში უხდებათ მეცადინეობა. აუცილებლად საჭიროა შენობების მოკლე დროში შეკეთება, თორემ საკმარისია ერთი თოვლი მოვიდეს, და [illegible] ტიტველ-შიშველი ბავშვები [illegible] ვერ შესძლებენ სასწავლებელში მოსვლას.

დ. თხილავა.

პროვინციის ქრონიკა

— **ერწოს რაიონში** ამჟამად არსებობს 19 სკოლა და ხუთი ქოხ-სამკითხველო.

— **საგარეჯოში** ელსადგურის ასაგებად ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ელმშენტრესტთან.

— **გლეხკომის კონფერენცია.** 15 იანვარს ზუგდიდში გაიხსნება მაზრის გლეხკომების კონფერენცია.

— **აბანო გორში.** გორის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს გორში აბანოს შენობის აგებას.

— **ციხე სახალხო სახლათ.** სოფ. აბისის (გორის მაზრა) აღმასკომმა გადასწყვიტა დაანგრიოს ადგილობრივ მეიბარე ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული ციხე და მის მაგიერ ააგოს სახალხო სახლი.

— **გორის აღმასკომმა** დაადგინა გააფართოოს ადგილობრივი სამჭედლო-სახელოსნო და დადგას კიდევ ახალი დაზგები.

ყინვები გორის მაზრაში.

გორის მაზრასაც ეწვია წელს ისეთი მკაცრი და ყინვიანი ზამთარი, როგორიც ამ 20—25 წ. განმავლობაში არ ყოფილა. თოვლი მოვიდა 24—25 დეკემბერს, ამას თან დაჰყვა ყინვები, რომელიც დღითი დღე მატულობდა და 4 იანვარს აღწევდა 21 გრად. ნოლის ქვევით რეომიურით.

ამან მრავალს მიაყენა საგრძნობი ზარალი, რადგან ყინვები დაიჭირა უეცრად თბილი ამინდების შემდეგ და ყველა მომზადებული ვერ შეხვდა. სარდაფებში მოსძრა ხილი და დაიზიანა მრავალი მცენარე როგორც ვაზის, ისე ვაშლის და სხ. 5 იანვარს სიცივემ იკლო, თოვლი დიდია და თუ იგი თანდათანობით არ გადნა, მოსალოდნელია წყალდიდობა.

შიშ.

თელავი

— სიცივეები არა მცირდება, ჩვეულებრივი ყინვები გრძელდება თოვლი თითქმის ყოველ დღე-საღამოთი მოდის, თუმცა 2—4 გოჯს არ ასცილებია.

— თელავის მაზრაში ყველა ტიპის სასწავლებლებში 1 იანვრიდან უკვე დაითხოვეს მოწაფენი ორი კვირით.

პროვინციის ფოსტა

ამხ. ნემსიწვერიძეს. თქვენი კორესპონდენციები დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება. გზავნეთ.

ვინ-ჩინს. კორესპონდენციები გზავნეთ.

დაჩაგრულს. თქვენი კორესპონდენცია დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება

თეატრი, ლიტერატურა და ცხოვრება

მისტიციზმი სცენიდან

(„შპიგელმენშ"-ის დადგმის გამო)

ორი იანვარს ქართველი ინტელიგენცია რუსთაველის თეატრში ეროვნულ თეატრის არსებობის 75 წლის თავს უქმობდა.

ამ სეზონში რუსთაველის თეატრში არსებულ მსახიობთა კორპორაცია „დურუჯმა" მიმართა ნაციონალურ უქმეს, რათა მოექცია ინტელიგენციის ყურადღება და დაებრუნებია შარშანდელთან შედარებით დიდი აუდიტორია.

და რა იქნა დადგმული ამ დღეს? რა სულიერი საზრდო მიაწოდა თეატრმა მსმენელთ?

ოქტომბრის მერვე და საქართველოს გასაბჭოების მეხუთე წელში შევდივართ. საქართველოს კომპარტიის, მუშათა და გლეხთა თავდადებულ რევოლიუციონურ ბრძოლით მოგვიპოვებია გამარჯვება ეკონომიურ-პოლიტიკურ ფრონტზე, მებრძოლ რიგებს სისხლი უღვრიათ დღევანდელ ცხოვრებისთვის და უკანასკნელად იგი ემზადება მესამე—კულტურის ფრონტზე საბრძოლველად.

ზედმეტია ლაპარაკიც „წუწუნავას მკვდრეთით აღდგარ ბებიათა თეატრზე და მით უმეტეს მის მკვდარ რეპერტუარზე. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა კომკავშირელი მწერლები (ჯგუფ პროლემაფი—პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი) ვერ გავჩუმდებით იმ აშკარა კონტრ-რევოლიუციის და „ახალი გზის" პრაქტიკულ განხორციელების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ საღამოზე.

აუდიტორია სავსეა ინტელიგენციით. იშლება სურათი ევროპის დეგენერაცია-განადგურებისა ჩვენ ქართულ დეკადენტობის სულით შეფარდებით. უმწვერვალესი საშინელებამდე მისული მისტიკა, რელიგია, დეგენერაცია, სიკვდილის აპოლოგია ესთეტიურ „სოუსით" საღდება. ბოროტი „მე" შემოქმედი ყოველგვარ „მიწიერ" სისაძაგლის, სდევნის „წმინდა სულს; ბოროტება სძლევს და ქვეყანამ უნდა მოიკლას თავი, რომ მოჰკლას ბოროტება, რომ შემდეგ აღსდგეს რელიგიით, გამარჯვებულ სამღვდელოებით. ბოროტი ძალის რაღაც ინტრიგული „მე" ყოფილა შემომქმედი ყოველივესი; იგი აჩენს რევოლიუციასაც და სპობს კაცობრიობასაც. იგივეა ყოველივე. (აქ უეჭველათ გვაგონდება პარალელები ლატავრა: სადაც დაახლოვებით ასეთივე ბოროტი სული—ინკუბიუსი შემომქმედია ყოველივეს, შემომქმედია რევოლიუციისაც. მისი „კაპრიზია" ეს წვრილმანი თამაშობა რევოლიუციობაში. აქვე გვაგონდება „მალშტრემ", სადაც შეყვარებულთა „მე"-ს „კაპრიზია" იგივე რევოლიუცია. კიდევ გვაგონდება რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე", რომლის გმირის კერძო ოინების შემდეგი ყოფილა თებერვლის რევოლიუცია.

და აი ამ ვერფელის პიესაში იშლება მხატვრულად სახეები სიკვდილისა. **მოძღვრება სიკვდილისა მოდის სცენიდან.**

ამ ვერფელის და ე. წ. ექსპრესიონისტების ხელოვნებამ გერმანიაში წარმოშობიდან რეაქციონური როლი ითამაშა და ამას იმეორებენ ჩვენში. მაშინ როცა გერმანიაში საჭირო იყო ბრძოლა პროლეტარულ რევოლიუციისთვის, როცა იგი ვითარდებოდა კიდეც, როცა შეუძლო იყო „პასიური წინააღმდეგობა" საფრანგეთის და საერთოდ ანტანტის ბურჟუაზიის ვერსალიდან მომავალ ძალდატანების წინააღმდეგ—მომაკვდავ გერმანიის ბურჟუაზიამ შექმნა ე. წ. შპენგლერიზმი ფილოსოფიაში, მოძღვრება შერიგებისა მოსალოდნელ „ევროპის აღსასრულისადმი", შერიგება „პასიურ წინააღმდეგობასთან", რის საშუალებითაც მან (ბურჟუაზიამ) შესძლო ფეხზე წამოდგომა. ამ შპენგლერიზმის მთავარი მასსიურად მომქმედი ძალა იყო—და არის—ხელოვნებაში ექსპრესიონიზმი. მას და განსაკუთრებით ექსპრესიონისტულ დრამატურგიას ბურჟუაზიამ მიზნათ დაუსახა ჩაჰკლას ძირშივე მუშათა ინტელიგენციაში და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შერჩენილი აქტივობა. ასეთმა „პასიურ პოლიტიკის" ანარეკლმა ხელოვნებამ ინტელიგენცია თავის დაღუპვაზე მტირალ მონაზვნათ გადააქცია. დაასუსტა იგი —უმთავრესად მისი რევოლიუციონური ნაწილი—როგორც საშიში ძალა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც ერთერთი დამხმარე, თანამგზავრული ძალა პროლეტარიატის.

დღეს საქართველოს ინტელიგენციის ზოგ ფენებში იწყება რევოლიუციონურ სულის ზრდა. ურიგდებიან თანამედროვეობას. მათი საუკეთესო ნაწილი მოდის ჩვენსკენ.

დღევანდელი ქართული ხელოვნება კი თეატრიდან და ჟურნალებიდან ჰკლავს მათში დაწყებულ აქტიობას. საქართველოზე „დურუჯის" მიერ გადმოქნილი ვერფელი ისეთი სიძლიერით მოქმედებს აქტიობის ჩასაკლავად როგორც გერმანიაში.

არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: აქ, ამ თეატრში დადიან მუშებიც—ურიგდებათ მუშებს იაფფასიანი ბილეთები,—საკმაო რაოდენობა კომუნისტურ და კომკავშირულ ფენებისაც და ყველაზე შეუძლია ამ პიესას მოახდინოს ენერგიის ჩამკვლელი გავლენა.

აქვეა დიდი ნაწილი ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენციისა. რა მიმართულებით იზრდება ის ასეთ ხელოვნების გავლენით (არ უნდა დავივიწყოთ, რომ უმთავრესად ხელოვნების გავლენით იზრდებიან ისინი). აქ სდგება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი, რაშიაც კომკავშირიც და პარტიაც უნდა იყვეს დაინტერესებული.

ეს მოქმედებს გამხრწნელად ყველა ფენებზე და განსაკუთრებით კი ინტელიგენციაზე სპობს მათში ჩვენთან დაახლოვების შესაძლებლობას.

ანტირელიგიურ პროპაგანდას ჩვენ ამ ბოლო ხანებში კულტურულ-მეცნიერულ ფარგლებში ვატარებთ. ანტირელიგიური პროპაგანდა თეატრის ჩვენთვის დიდათ საჭირო და სასარგებლოა. ამ პიესაში კი მოცემულია **დიდებული აგიტაცია - პროპაგანდა რელიგიისა.** რელიგია თავისი მაგიური (ყოვლად ძლიერი) საშუალებით „ჰკლავს" სამყაროს—ცხოვრებას და მასთან ერთად ბოროტებას. აცოცხლებს ერთი ხელის დადებით სიკეთეს და ასე რელიგიურ „სიმშვენიერეში" იშლება მომავალი სანეტარო მისტიური სამყარო, რომელსაც ჩვენ საცოდავმა კომუნისტებმა—ფანატიზმით გატაცებულებმა — სოციალიზმი დავარქვით.

რამდენი ენერგია თავისებურად მშვენიერ მსახიობებისა დაიხარჯა ამ არაჩვეულებრივ მისტიურ დადგმისთვის, ათასგვარ მისტიურ ბოდვისათვის ქვეყნის დაღუპვის შესახებ. ეს მაშინ, როცა მშრომელ მასსას არ აქვს თავისი ხელოვნება.

საბოლოო გამართლება ამ დადგმისა, რომლის გულისთვის შემოგვასაღეს ამდენი კონტრ-რევოლიუციონური იდეოლოგია, იყო ესთეტიკა (დადგმა), და მართლაც: **რა თქმა უნდა მისტიკისათვის დიდათ გამართლებული** იყო ეს არაჩვეულებრივი დადგმა (თუმცა აქაც იყო პატარა ნაკლი: მაგ. რეალიზმის მისტიციზმში, კუბიზმის ტრაგიზმში შერევა და სხვა). ბევრი რამ არის ამ მხრივ „ლამაზი" ბურჟუაზიულ ევროპაში, მაგრამ ყოველივეს ვერ გადმოვიტანთ. ხელოვნება რომ ფეით მიზანიც იყვეს, შეუძლებელია ეს.

ჩვენ არ მიგვაჩნია ხელოვნება ასეთ თვითმიზნათ, **იგი ფართო მასსების აღზრდის—„გრძნობათა განსაზოგადოებრივების"** —(ბუხარინი) — **საშუალებაა**, მით უმეტეს საქართველოს სინამდვილეში, სადაც ძლიერ გამჯდარა ხელოვნებისადმი სიყვარული. ჩვენ კომკავშირელ მწერლებს—და ჩვენთან ერთად მშრომელ მასსებს—რომლებსაც გვინდა დავინახოთ თეატრში ლამაზი სახე ცხოვრების, სახე თანამედროვე პროლეტარულ ყოფნის, რასაც მოითხოვს მასსა, არ შეგვიძლია არ მიუთითოდ პარტიას—უკეთ მისი ნდობით აღჭურვილ სარეპერტუარო კომისიას—ფართო მასსების ასეთ ცუდ აღზრდის საშუალებების გამოყენებაზე.

ამიტომ დროულია ლოზუნგი: ხელოვნების მტკიცე პარტიული პოლიტიკის შემუშავება და „ახალ გზის" წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა კულტურულ რეაქციის დასაძლევათ.

ჯგუფ „პროლემაფის" წევრები:

1. ქიქოძე, 2. ვ. მაჭავარიანი, 3. შ. რადიანი, 4. ვ. ლუარსაბიძე, 5. ქ. კალაძე (კაკიეწსელი), 6. ე. ლორთქიფანიძე, 7. ჟ. მდივანი, 8. დ. რონდელი, 9. ა. მაშაშვილი (ბუმერანგი), 10. კ. ფელიქსიშვილი, 11. ე. პოლუმორდვინოვი, 12. თ. ჩქარეული.

პროლეტარულ მწერალთა კავშირის გარშემო

წერილი რედაქციის მიმართ

ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლების გამოსვლას თავიანთ წერილში რედაქციის მიმართ (იხ. „კომუნისტი" № 6 (1161) უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი გვპირდებიან!.. ისინი ახალგაზრდები, ჯანლონით სავსენი და უეჭველად ნიჭიერნი არიან და ეს თავდებია იმისა, რომ მომავალი მათია. რაც თავი და თავია, ისინი უდგებიან აქტიურ მუშაობას და ამ შემთხვევაში მთელი ჩემი სიმპატია, შეძლება და გამოცდილებაც, თუ კი ეს საქმეს გამოადგება, უთუოდ მათ მხარეს არის. ქაობსა და მუხრუჭებს ვერც ჩემი ბუნება ეგუება. ძველი კავშირი კი, თუ შეიძლება ლაპარაკი ასეთზე, რომელიც თითქმის ერთი წელიწადია ღრმა ლეტარგიით არის შეპყრობილი, საკმაოდ მძიმე, მოუქნელი და უნიჭო აღმოჩნდა რაიმე სასარგებლოს შექმნაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ხელმძღვანელებმა ასე თუ ისე ხელი შეუწყვეს მის „პრაქტიკულ საქმიანობაში" გამოყენებას ეს „პრაქტიციზმი" მრავალმხრივი იყო და მათ შორის ღსანიშნავია დიადი სურვილით „მთის ძირში ბაღის გაშენებისა" და შიგ მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს ამოშადრევნებისა. მაგრამ სავალალოდ, კავშირის ხელმძღვანელნი რამდენიმეთ ნაკლები მებაღენი გამოდგნენ, ვიდრე აქტუალური ხელოვნები არიან სინამდვილეში.

ეს „ცდა" მაინც ბედის მონახევრე იყო და ის უეჭველად ასანიშნავია კავშირის ისტორიაში.

მიუხედავათ ამისა, მე არც მიფიქრია და დღესაც არა ვფიქრობ ამ კავშირიდან გასვლას. ვფიქრობ, რომ „მძინარამ" უნდა გამოიღვიძოს. თუ თავისით არა, რაღაც „გარეშე" ძალამ უნდა გამოიწვიოს მისი განახლება. ეს „გარეშე" ძალა, ანუ უკეთ ასევ და ისევ შინაური ძალაა სწორედ ეს ახალგაზრდობა. ის კი არ უნდა გაჰქცეოდა კავშირს, ქვა და გუნდა კი არ უნდა მიეყარა მისთვის, არამედ უნდა მოეხდინა მისი რეორგანიზაცია შიგნიდან. ეს იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი. უნდა გავტყდეთ, რომ არა ვართ ჩვენ იმდენად მრავალრიცხოვანი და ძლიერნი, რომ დაქსაქსვასა და ძალთა დანაწილებაში ვეძიოთ რაიმე ხსნა. პირიქით, ვფიქრობ, რომ არ გვაწყენდა ზოგიერთ ძალების ჩვენსკენ გადმობირება და შემოერთება. ვფიქრობ, რომ დღევანდელი მომენტი მბრძანებლურად გვიკარნახებს ძალთა შეკუმშვას და გაერთიანებას სწორეთ მესამე ფრონტზე, სადაც დღეს კი არ იწყება, არამედ ჩაღდება სამოქალაქო ომი, იგი „პროლემაფის" მოვლინებამდეა დაწყებული და, უნდა ითქვას, მეტისმეტად არახელსაყრელს პირობებში ჩვენთვის, მოპროლეტარო მწერლებისათვის.

მაგრამ რა? ეს გარემოება, განა ხელს უნდა უწყობდეს ჩვენს გათიშვას? პირიქით, აქაა სწორედ ძალთა შედუღება აუცილებელი. პროლეტარობა და რევოლიუციონერობა ამ შემთხვევაში სწორედ ძალთა ამ შემწკრივებას უნდა გვავალებდეს და არა გათიშვას. კავშირის რეორგანიზაცია საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ შეუწყნარებელია მისი გათიშვა. რა ვუყოთ, რომ თქვენ ახალგაზრდები ხართ, ხოლო ჩვენ მოხუცნი? ჩვენ ხომ მწერლები ვართ პირველ ყოვლისა? მაშ, რა საჭიროა ეს ასაკებათა და წლოვანებათ ჩვენი დაყოფა? მიზანი ერთია, მდგომარეობა—საერთო, ფრონტიც ერთიანია საჭირო. თუ უწინ იტყოდა მგოსანი: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო, გაგვიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო"!..

ნუ თუ დღეს არ შეგვიძლია ეს დებულება შევაბრუნოთ გაძღოლაში ახალგაზრდობის სასარგებლოთ, თუ ეს უკანასკნელნი კი გამოიჩენენ შესაფერ ორგანიზატორულსა და ხელმძღვანელობის ნიჭს? აბა, ამას წინ რა დაუდგება? კავშირსაც ხომ სხვა არაფერი აკლდა, გარდა ხელმძღვანელებისა, რევოლიუციონური ორგანიზატორებისა! და თუ კი ეს უკანასკნელი ძალა თქვენში ღვივის,—ის მართლაც უნდა ღვივოდეს თქვენში,—მაშინ წარსულით ცოდნისა და გამოცდილებას, გარწმუნებთ, გაცილებით მეტს იპოვით ჩვენში, ვიდრე ეს თქვენა გგონიათ. მაქვს სითამამე ამ შემთხვევაში „ჩვენობით" ლაპარაკისა, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამ ჩემს განცხადებას ჩემი ამხანაგებიდან ძველის კავშირით ბევრი გამოეხმაურება, და, რომც არ გამოეხმაურონ, გულში მაინც ბევრი დამეთანხმება.

მაშ, ასე, ითავეთ, მოიწვიეთ კრება, განაახლეთ კავშირი და მუშაობა და მე პირველი მოვალ თქვენთან.

ამხ. სალამით და პატივისცემით

ნ. ზომლეთელი.

ს. ს. ს. რ. ეროვნული ბიბლიოთეკა
კომუნისტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

უშველოთ ბაჩანას

აგერ ერთი თვე სრულდება, რაც მძიმე ავადმყოფობით მიჯაჭვულია სარეცელს, (მთავარ საავადმყოფოში) მთის პოეტთა გუნდის უკანასკნელი გუშაგი, ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი). მშრომელ პოეტთა შორის ბაჩანას საპატიო ალაგი უკავია.

მართალია ამჟამად დაავადებულ მგოსნის მკურნალობის საკითხი საავადმყოფოში რაციონალ პირობებშია ჩაყენებული, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიაროთ რომ კვებას და მის ჯალაბობის უზრუნველყოფის საკითხი სასწრაფო დახმარებას მოითხოვს.

მისი ასული გულქანი (9 წლისა) მთავარ საავადმყოფოში წევს მამასთან ერთად ეპილეპსიით შეპყრობილი. მას ჯერ ექიმობა სჭირია და მერმე აღზრდა. ბაჩანას ოჯახს არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ მოეპოება: სახლიც კი არა აქვს სოფელში.

ბაჩანასი და მისი ოჯახობის არსებობა მთლად დამოკიდებულია იმ სამი თუმნისაგან, რომელსაც პენსიის სახით აძლევს მას განათლების კომისარიატი. მაგრამ რას უშველის ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ კაცს ეს სამი თუმანი.

მწერალ-ხელოვანთა ორგანიზაციები მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ ბაჩანას და ფეხზე დააყენონ დაავადებული დამსახურებული მგოსანი.

დონ-პარ.

„პროლემაფის“ ლიტერატურული მეცადინეობა.

ჯგუფ პროლემაფის (პროლეტარულ მწერლების ახალი ფრონტი) დადგენილებით კვირაში ორჯელ შესდგება ლიტერატურული ([illegible]) მეცადინეობა. მეცადინეობა იწარმოებს ორშაბათობით 5 საათიდან და შაბათობით 6 საათიდან. პირველი მეცადინეობა შესდგება შაბათს 10 იანვარს კომკავშირის ცეკას შენობაში (რუსთაველის ქ. № 2) ჟურნალ „საზღვარზე“-ს რედაქციაში. მეცადინეობის თემა: „საქართველოს ლიტერატურის ისტორიული განვითარება“. მოსაუბრე ბუაჩიძე.

— ამავე ჯგუფის დადგენილებით, კვირაობით დილის 9 საათიდან შედგება მასიური ლიტერატურული გამოსვლები.

— **სანიტ.განათლების წარმოდგენები წითელარმიელთათვის** გაიმართება სისტემატიურად კვირაში ერთხელ წითელარმიელთა კლუბში.

— **ლენინის ხსოვნის დღე.** სამხედრო პოლიტ-სკოლა გამართავს 21 იანვარს წითელარმიელთა კლუბში ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის პიესა „მალშტრემ“.

— **ოპერაში** დღეს წარმოდგენილი იქნება „დუბროვსკი“.

— **„ტარეში“** დღეს წარმოდგენილი იქნება ლ. ტოლსტოის პიესა „ანნა კრისტი“ ვოლხოვსკაიას მონაწილეობით.

— **ცირკში** დღეს განმეორებული იქნება დუროვის გასტროლი შევსებული პროგრამით.

— **კონფერენცია.** კვირას, 11 იანვარს დილის 11 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 123) დანიშნულია თბილისში არსებულ ყველა მუშათა კლუბების სახელოვნო წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია.

— **ქართველ ახალგ. ხელოვანთა** გამოფენა-საღამოს მომწყობი კომისია სთხოვს ყველა წევრებს და კანდიდატებს გამოცხადდენ ხელოვანთა სასახლეში დღეს 10 იანვარს, საღამოს 5 საათზე.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„აელიტა“ 1 და 2 სერია.

— სოლეი—„აელიტა“ 1 და 2 სერია.

— აპოლო—„გრაფ მონტე-კრისტო“ 1 და 2 სერია.

— თვითმფრინავი—„ქალი მონტე-კარლოდან“ 1 და 2 სერია.

— მინიონი—„ლედი გამილტონ“.

— ოაზისი—„ქალი მონტე-კარლოდან“ მესამე სერია.

— სოლეი—„ბრძოლა მილიარდებისათვის“.

ფიზიკური კულტურა

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

საგიტაციო-საპროპ. განყოფილება

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, რომელიც დაყოფილია შემდეგ სექციებად: 1) სამხატვრო-საპროპაგანდო, 2) ფიზიკურ კორესპონდენტთა შორის მუშაობის სექცია, 3) პროპაგანდისტთა კოლეგია, 4) სარედაქციო-საბიბლიოგრაფიო სექცია, 5) საკლუბო მუშაობის სექცია.

საგიტ.-საპროპ. განყ. გამგედ დანიშნულია კრეიტანი, მის მოადგილეთ კვინიხიძე, [illegible] კოკანი. ქართული სექციის გამგე—შელიძე.

შემუშავებული და დამტკიცებულია დებულება საგ.-საპრ. განყოფილებისა და ფიზ ორგების შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომები იმართება ორ კვირაში ერთხელ, ორშაბათობით დილის 2 საათზე. პრეზიდიუმის სხდომის შემდეგ იმართება პლენუმის სხდომა.

პარტ-გამოსვლები

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დადგენილებით, ყველა სპორტ-გამოსვლები და ყველა სასპორტო დღესასწაულები შეთანხმებული უნდა იქნეს საქ. ფ. კ. უ. ს. საგ.-საპროპ. განყოფილების სამხედრო სექციის მუშაობასთან.

ფიზკულტურის თბილისის საბჭოში.

ფიზკულტურის თბილისის საბჭოს ტექნიკური კომიტეტის დადგენილებით, სხვადასხვა დაწესებულებების და კავშირების ყველა სპორტორგანიზაციების სასპორტო გამოსვლები არ შეიძლება მოწყობილი იქნეს, თუ ამაზე არ იქნება ტექნიკური კომიტეტის სათანადო ნებართვა.

ამ დადგენილების დამრღვევნი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

სპორტ-დარბაზის რემონტი

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზი რემონტის გამო დაკეტილია ორი კვირით.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1925 წ. იანვრის 5.

ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და სავალდებულო ასაკმიუღწეველთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

რათა წინასწარვე თავიდან აცილებულ იქნას ის შემთხვევა, რომ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის დროს წერა-კითხვის უცოდინარნი არ შევიდნენ, აგრეთვე, რათა ტერიტორიალური ნაწილების წითელარმიელთა პოლიტიკური შეგნება და საომარი უნარიანობა სათანადო სიმაღლეზე იქნეს მიღწეული, და თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. აგვისტოს 8-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ყოველმა წერა-კითხვის უცოდინარმა სავალდებულო ასაკმიუღწეველმა პირმა, რომელიც ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადებას იღებს, აგრეთვე ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის ყოველმა წერა-კითხვის უცოდინარმა წითელარმიელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სავალდებულო სასკოლო მეცადინეობაში იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს მიერ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. სავალდებულო ასაკმიუღწეველთა და ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯის ის ნაწილი, რაც დასჭირდება სასკოლო სადგომების შოვნას, ამ სადგომების მოწყობას, გათბობას, განათებას და სხვ. სამეურნეო საქმეს, აგრეთვე მასწავლებელთა პერსონალის შენახვას, გაღებულ უნდა იქნეს ადგილობრივი სახსარიდან, რაც სპეციალურად საამისოდ ეძლევათ აღმასრულებელ კომიტეტებს სახალხო განათლების განყოფილებათა ხარჯთ-აღრიცხვებით. ხოლო სასწავლო ხელსაწყოთათვის საჭირო ხარჯი მიეწეროს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

3. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ა. შავერდოვი.

დადგენილება № 129

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისათვის 232^1 მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი მუხლი: 232^1 მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ დაწესებულებათვის კანონიერ ვადაზე წარუდგენლობა საამისოდ დადებული პირის მიერ განცხადებისა ბავშვის დაბადების ან ქორწინების, გარდაცვალებისა ან [illegible] პოვნის შესახებ დაისჯება—ჯარიმით 50 მანეთამდე ოქროთი ან იძულებითი მუშაობით ორ კვირამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1924 წ. დეკემბრის 31.
თფილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს, 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში შესდგება ქალაქის რაიონის წევრებისა და კანდიდატების კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება. „მენშევიკების ახალი ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები“.
2. ამხ. ელია ახ[illegible]ხსენება: „ერთი წლის პარტიული და საბჭოთა მუშაობა ულენინოთ“.

მდივანი სტურუა.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 10 იანვარს, რაიკომის ბინაზე შესდგება საგ.-საპროპ. წრის მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა ქალთა ყველა ორგანიზაციებისთვის და აგრეთვე ხელმძღვანელ კერ სელიძისა და ქალთა [illegible]ისთვის.

ქართულ წრის მეცადინეობა—საღამოს 7 ს. რუსულისა—5 საათზე.

ქალთა განყოფილება.

ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომში ამხ. აკოფოვთან შემდეგი მიჩამოთვლილი ამხანაგები:

ჯანჩ[illegible]ლაშვილი გიორგი, არუთინოვი მართა, ჯორჯანაძე ბარბარე, წულაძე კალისტრატე, სუთიძე გაბრიელ, ნადირაშვილი ივანე, მალანინი ნიკოლოზ, ზავალიევსკი ბორის, [illegible]ლენა ელენე.

მდივანი სტურუა.

— კვირას, 11 იანვარს, დილის 9 საათზე, ნაძალადევის თეატრის შენობაში მოწვეულია ლენინრაიონის „რემედასის“ ფართე კონფერენცია, რომელზედაც მოწვეულია „რემედასის“ ცეკა და თბილ. კომიტეტი.

დელეგატები უნდა გამოცხადდენ დანიშნულ ვადაზე.

ლენინრაიკომ. სააგ.-საპროპ. განყ. გამგე მთვარელიძე.

— კვირას, 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ცენტრ. პარტკლუბში შესდგება ლექცია პროფ. იუზბაშევისა შემდეგ თემაზე: „მეცნიერება და რელიგია“.

ლექციის თანადართული იქნება სადემონსტრაციო დიაპოზიტივები. დასასწრებლათ მოწვეული არიან კომუნისტები, კომკავშირელები და მათი ოჯახები.

თბ. კომ. სააგ.-საპროპ. განყოფილება.

ღრმად დამწუხრებული დედა კატო, მამა ივანე, დები თინა და სონია, ძმა ალექსანდრე, დიდედა რიფსიმე, ბაბუები დიმიტრე და თევდორე, მამიდა მარო, ბიძები სანდრო, კოწია, ასლანი და ვანო აცნობებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის 4 იანვარს სოფ. ბახვში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი თბილისის IV ტექნიკუმის VII კლ. მოწაფე

ლადიკო ივანეს-ძე მჟავია

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 იანვარს ბახვში

615 1—1

ღრმად დამწუხრებული: დედა ელისაბედი კირილეს ასული, მეუღლე ლიზა ნიკოლოზის ასული შვილებით თეიმურაზით და თინიკოთი, ძმა ივანე გუჯმახანისძე ასათიანები, და მაკრინა გუჯმახანის ასული, სიძე სამსონი ქაიხოსროსძე ქაჩიბაიები და სიდედრი ფოტინე სოფრომის ასული ბასილაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 ამა იანვარს, 12 საათზე იქნება გადახდილი პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი გუჯმახანის ძე ასათიანის

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

62 1—1

სალომე საჩინოს ასული გომართელისა [illegible] აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 11 იანვარს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სიყვარული და დაუვიწყარი მეუღლის

სვიმონ საჩინოს ძე გომართელის

გარდაცვალების წლის თავის გამო.

---

10 იანვარს ქ. ზესტაფონში იქნება გადახდილი ორმოცი დღის თავის აღსანიშნავად პანაშვიდი

არჩილ სამსონისძე აბაშიძის

რასაც აუწყებს მწუხარებით ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ალექსანდრა იონის ასული [illegible] შვილებით.

55 1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები თამარი, არჩილი, მამა სილიბისტრო, და ელენე, ძმა ვლადიმერი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 24 დეკემბერს რკინის გზის საავადმყოფოში უდროვოდ გარდაიცვალა ძველი რკინისგზელი

ივლიანე სილიბისტროს-ძე ნიკოლაიშვილი

რომლის გადასვენება მოხდება კუკიის სასაფლაოზე, კვირას 11 იანვარს, დილის 12 საათზე. შეკრება მოხდება კუკიის ეკლესიის ეზოში დილის 11 საათზე.

ღრმად დამწუხრებული და თამარ და სიძე ლეონიდ ნადირაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ შაბათს, 10 იანვარს, სოფ. ვაკისჯვარში ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ნიკოლოზ (კოლია) მოსესძე მექვაბიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავით.

65 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა—სოფიო და მოსე; ძმები—ბიქტორ და შალიკო, დები—ოლია და ქეთო აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 10 იანვარს სოფ. ვაკისჯვარის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ნიკოლოზ (კოლია) მოსესძე მექვაბიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ.

65 1—1

სახელმწიფო დრამა
დღეს, 10 იანვარს
გრ. რობაქიძე
„მალშტრემ“
ნ. № 585 5—5

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 10 იანვარს
დუბროვსკი
კვირას, 11 იანვარს
დაისი
ნის. 6112—1

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებების, სიზოგადოებრივ ორგანიზაციების, კერძო ფირმების და პირების საყურადღებოთ, რომლებიც ამიერ-კავკასიის რკინისგზების საიჯარო მულების (მიწის ნაკვეთები, მილები, შესასვლელი გზები, საწყობები და სხვა შენობები, უმოძრავი შემადგენლობა და სხვა) ექსპლოატაციას ეწევიან ხელშეკრულებების მიხედვით, რომელთა მოქმედების ვადა გათავდა 1924 წლის 31 დეკემბერს, იმ შემთხვევაში, თუ მათ შემდეგშიაც სურთ ექსპლოატაციის გაგრძელება ხელშეკრულებების განახლებით, ეხლავე

მისცენ ამის შესახებ სათანადო განცხადება

სადგურის უფროსს ანდა სამმართველოს ეკონომიურ განყოფილებას; განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს სალერბო მარკები. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული არ იქნა ასეთი განცხადება, რკინისგზების საიჯარო მულებით სარგებლობა 1925 წლის პირველ იანვრიდან დაშვებული არ იქნება არავითარ შემთხვევაში, რის შესახებაც განკარგულება უკვე დაეგზავნა სადგურების უფროსებს.

603 2—2

До правды охочий
Все найдешь в „ПРАВДЕ РАБОЧЕЙ“.
Была газета мала, да говорила про большие дела.
Поддержал ее пролетарский класс и выросла газета у нас
Что ни номер,—всякой всячины миска.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1925 ГОД
на газету „РАБОЧАЯ ПРАВДА“ на газету

И эта всякая всячина не прилизана, а взлохмачена. Нам не до внешнего лоску, а загнать-бы нечисть разную в доску,—Чемберленов и нэпачей, всыпать волокитчикам погорячей, задать перцу растратчикам, „бабушкам“ и потатчикам, и прочая и прочая и прочая.
ПОТОМУ, ГАЗЕТА НАША РАБОЧАЯ.
